სპორტი

№142 (12 212)

19 ივნისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრანდებთან თამაში შეგვიძლია!

NATIONS CUP ROMANIA 2007

რუმინეთის ტურნირიდან მსოფლიო თასამდე. ინტერვიუ მალხაზ ჭეიშვილთან

iRB RUGBY WORLD CUP 2007



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს თასისთვის მზადების პირველი ეტაპი დაასრულა. ბორჯღალოსნებმა რუმინეთში IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში ღირსეულად იასპარეზეს - სამიდან ორი შეხვედრა მოიგეს და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. რუმინული ტურნესა და მომავლის გეგმებზე ნაკრების მწვრთნელ მალხაზ ჭეიშვილს ვესაუბრეთ:

- რუმინეთში სხვადასხვა მიზეზის გამო, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდა, თუმცა ამ შემადგენლობამ თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინა. ჩვენთვის აღმოჩენა იყო ფიზმომზადების ფრანგი მწვრთნელი ნიკოლა ფულკიე, რომელმაც ძალიან შრომატევადი სამუშაო გასწია. ის მართლაც მაღალი დონის სპეციალისტი აღმოჩნდა. მისით და მთლიანად ტურნირის მსვლელობით ძალიან კმაყოფილნი ვართ.

- პირველი მატჩი ნამიბიის ნაკრებთან გვქონდა, რომელიც მსოფლიო თასზე ჩვენი გუნდის მეტოქეა. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ გუნდმა?

- ჩვენც და მათაც გვინდოდა გვეჩვენებინა, რას წარმოვადგენთ რეალურად. არ მინდა, ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ნამიბიელებს ჩვენთან შანსი არ ჰქონდათ. ცხადია, მსოფლიოს თასზე თამაშს სხვა ფსიქოლოგიური დატვირთვა ექნება, მაგრამ ჩვენ ნამიბიის დასამარცხებლად მზად ვართ.

-ბორჯღალოსნებმა, მარცხის მიუხედავად, სამხრეთაფრიკელთა ნაკრებთან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს...

- სამხრეთ აფრიკას ძალიან კარგი გუნდი ჰყავდა ჩამოყვანილი. ეს სულაც არ იყო, როგორც ამბობდნენ, ოცდასამწლამდელთა ნაკრები. მათთან თამაშში მართლაც გამოვიჩინეთ თავი. განსაკუთრებით დაცვაში. მთავარი იყო, როგორმე ფსიქოლოგიურად მოგვემზადებინა მორაგბეები. თითქოს ეს მოვახერხეთ კიდეც მაგრამ ოდნავ მაინც შებოჭილები ვიყავით. ის, რომ სამხრეთ აფრიკას ვეთამაშებოდით, ბიჭების ფსიქოლოგიაზე მაინც ახდენდა გავლენას. ეს კომპლექსი აუცილებლად დასაძლევი გვაქვს. საბოლოოდ გამოჩნდა რომ მაინც კარგად ვითამაშეთ. ეს სხვა გუნდების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს და მოგვილოცეს კიდეც კარგი თამაში.

- ხელწამოსაკრავი გუნდი არც იტალიის A ნაკრები იყო. რაც უნდა იყოს, ეს ქვეყანა უკვე სარაგბო ელიტის წევრად ითვლება.

- იტალიელებთან დავალება ყველამ პირნათლად შეასრულა, რამაც მატჩში გამარჯვება მოგვიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ხან იტალიელები იყვნენ წინ, ხან ჩვენ, მატჩის მოგება მაინც შევძელით.

- რა ხარვეზები დაინახეთ გუნდის თამაშში?

- ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებთ. აქედან მოდის გუნდის მიერ დაშვებული ყველა შეცდომა. რაც შეეხება გუნდის ტაქტიკას და სტრატეგიას, ის დიდად აღარ შეიცვლება. მსოფლიო თასამდე დარჩენილ დროში არსებულ კომბინაციებს დავხვეწთ. რაც მთავარია, ბიჭებს რწმენა უნდა შთავუნერგოთ, რომ ბობოლა სარაგბო გუნდებთან თამაში შეუძლიათ. საბოლოოდ, ტურნირის შედეგებით და გუნდის თამაშით კმაყოფილები ვართ. ბევრი ახალგაზრდა მორაგბის გამოცდის საშუალება მოგვეცა. ყველამ თავი კარგად წარმოაჩინა და ვფიქრობთ, სამომავლოდ ნაკრებში თამაშზე კარგი განაცხადი გააკეთეს. კონკრეტულად არავის გამოყოფა არ მინდა. ყველამ თავდაუზოგავად იშრომა და იბრძოლა.

- როგორია მზადების შემდეგი ეტაპები?

- 9 ივლისიდან თბილისში დავიწყებთ შეკრებას. გუნდი ძირითადად ფიზმომზადებაში ივარჯიშებს ნიკოლა ფულკიეს ხელმძღვანელობით. ვარჯიშები "შევარდენის" სარაგბო ბაზაზე გაიმართება. ეს ეტაპი 27 ივლის დასრულდება.

3 აგვისტოს, საფრანგეთში, აჟენის ბაზაზე დავიდებთ ბინას. იქ კონსულტანტი ანრი ბრონკანიც შემოგვიერთდება. გავმართავთ ორ შეხვედრას "აჟენთან" და "ოშთან". 17 აგვისტოს ბეზიეში გავემგზავრებით არმან ვაკერენის სახელობის ტურნირზე საასპარეზოდ. იქაც ორ მატჩს გავმართავთ პირველი დივიზიონის კლუბებთან. 24 აგვისტოდან კი ბინას გრან მოტეში დავიდებთ. აქ ჩემპიონატის დაწყებამდე, შესაძლოა, ერთი შეხვედრაც გავმართოთ. 5 სექტემბერს კი მსოფლიო თასზე საბაზო ქალაქ ვილფრანშში გადავბარგდებით.

ბესიკ ჭანგავაძე

მიუნხენს ჩემი გაყიდვა ხელს აძლევს

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

ინტერვიუ მათე ღვინიანიძესთან 3

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ლიგის დებიუტანტი

მესხეთი ითამაშებს...

უმაღლეს ლიგაში აღზევებით, "ქართულ ნიუკასლად" წოდებული ახალციხე დიდმა სიხარულმა მოიცვა. თუმცა აღტაცება მალევე გაურკვევლობამ შეცვალა. "მესხეთის" თავზე ცა მოიქუფრა და ორიოდე კვირის წინათ იმდენად პესიმისტური ვითარება იყო, უმაღლეს ლიგაში მესხთა გამოსვლას დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. თუმცა გუშინ კლუბის პრეზიდენტი **გია მესხელი** იმედიანი გვეჩვენა.

"ჩვენს კლუბს უმეტესწილად გამგეობა აფინანსებდა. მაისის ბოლოს გამგეობის მხრიდან დაფინანსებაზე გარკვეული პრობლემები შეგვექმნა და მართლაც პესიმისტურ ვითარებაში აღმოვჩნდით. თუმცა სასიკეთო კონტურები გამოიკვეთა და ყველაფერი საბოლოოდ მალე გაირკვევა.

ასე რომ, "მესხეთი" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. დაფინანსების სხვა წყაროები თუ არ გამოჩნდა, მაშინ ახალგაზრდული გუნდით ვითამაშებთ. ადგილობრივ ფეხბურთელებს რამდენიმე ჩამოსულ მოთამაშეს დავამატებთ და პროგრამა მინიმუმად ლიგაში ადგილის შენარჩუნებას დავისახავთ მიზნად.

"გაგრიდან" ალბათ მალე ორი ფეხბურთელი დაგვემატება. ერთი, ახალციხელი ნახევარმცველი აფრამაშვილია, მეორე კი მცველი, მის გვარს მოგვიანებით გეტყვით.

მეტი ფინანსები რომ გვქონოდა მთავარ მწვრთნელად კარგ სპეციალისტს მოვიწვევდით, გამოცდილ ფეხბურთელებსაც ავიყვანდით, მაგრამ ჯერჯერობით ფინანსურად სახარბიელო ვითარებაში არ ვართ. გუნდს კვლავაც კობა თედიაშვილი განწვრთნის. მოსამზადებელ შეკრებას 21 ივნისს ახალციხეში დავიწყებთ. რამდენიმე დღე ადგილზე მოვემზადებით, მერე კი შეკრებაზე, სავარაუდოდ, შავიზღვისპირეთში წავალთ. სომხეთში კი დაგვპატიჟეს მოსამზადებელ შეკრებაზე, მაგრამ ჯერჯერობით მეზობელ ქვეყანაში გამგზავრება არ გადაგვიწყვეტია.

ამ ეტაპისთვის მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩვენი კლუბის ფინანსური შესაძლებლობები მალე გაირკვევა და მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში მეხელმა.

დავით ცაბაძე

გამეზარდაშვილი (მარცხნივ) ლატვიის თასის ნახევარფინალშია

სკონტო და ვენტსპილსი ნახევარფინალში

ლიტვაში მე-15 ტურის მატჩები გაიმართა, კაუნასში ჩემპიონი და გათამაშების ლიდერი "კაუნასი" მოულოდნელად ვილნიუსის "ვეტრასთან" 1:2 დამარცხდა. **ნუკრი მანჩხავა** სასტარტო შემადგენლობაში იყო, **გივი კვარაცხელია** კი მოედანზე შესვენების შემდეგ შევიდა. ბოლო დროს კვარაცხელიამ სასტარტოში ადგილი დაკარგა, არადა შარშანდელ სეზონში კლუბის ნამდვილი ლიდერი იყო. მეორე ტაიმში მანჩხავა გააფრთხილეს. "კაუნასის" წაფორხილებით ისარგებლა "ვილნიუსმა", რომელმაც ჩამორჩენა ლიდერთან ორ ქულამდე დაიყვანა. **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტე" სტუმრად 1:6 განადგურდა "ეკრანასთან". ხუბუტია მოედანზე პირველი ტაიმის შემდეგ (0:4) შევიდა. ათგუნდიან ჩემპიონატში "შილიუტე" რვა ქულით ბოლოსწინაა.

ლატვიაში თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. "სკონტომ" 3:1 დაამარცხა "რიგა" და ნახევარფინალში გავიდა. "სკონტოს" ქართული დუეტიდან მხოლოდ **დავით გამეზარდაშვილმა** (ყვითელი ბარათი) ითამაშა. **ზაალ ელიავა**, როგორც ჩანს, "სკონტოს" მალე დატოვებს. **თამაზ პერტიას** "დინბურგი" "ოლიმპს" ეწვია. მატჩის ძირითადი დროფრედ (1:1) დასრულდა, პენალტების სერიაში კი "ოლიმპმა" 5:4 იმარჯვა. "დინბურგის" დუბლმა კი 5:0 დამარცხა "იურმალის" დუბლი. ამ მატჩში შეუცვლელად ითამაშა **რონალდ სვანიძემ**. თასის მეოთხედფინალში "ვენტსპილსმა" 3:0 დაამარცხა "მეტალურგსი". **ზურაბ მენთეშაშვილს** არ უთამაშია.

ბელარუსში მეცხრე ტურის მატჩები გაიმართა. **სულიკო კაკაბაძის** "სმორგონმა" სტუმრად მისი ყოფილი კლუბი "ნაფტანი" დაამარცხა - 1:0. **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრი" მინსკის "დინამოს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. შუბლაძე 51-ე წუთზე შეცვალეს. **რომან გოგინაშვილის** "ბრესტი" შინ 0:0 დაუზავდა "ნემანს". რომან გოგინაშვილი მოედანზე 66-ე წუთზე შევიდა. დებიუტანტი "სმორგონი" 13 ქულით მეექვსე ადგილზეა, "დნეპრს" და "ბრესტს" 9-9 ქულა აქვთ.

ყაზახეთში მორიგ ტურში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი ყარაღანდაში გაიმართა - **ლევან მელქაძისა** და **გიორგი გაბიდაურის** "შახტიორმა" ინტერტოტოს თასზე "ზესტაფონის" მეტოქე "ტობოლს" უმასპინძლა. მასპინძელთა რიგებში სასტარტოში არ ყოფილან ქართველები. გაბიდაური 79-ე წუთზე გამოჩდა, ხოლო მელქაძე ბოლომდე სათადარიგო სკამზე დარჩა. "შახტიორმა" 3:1 მოიგო. **გიორგი გოგიაშვილის** ახალმა კლუბმა ძველი დაამარცხა - "კაისარმა" 3:2 "ეკიბასტუზეცს" მოუგო. **ზურაბ არჩვაძის** "ვოსტოკმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა "იესილ ბაგატირი". "შახტიორი" 24 ქულით მეორე ადგილზე გადავიდა. სხვათა შორის, გავრცელდა ცნობა, რომ წარმოშობით ქართველი გოლკიპერით, **დავით ლორიათი,** რომელიც ამჟამად "შახტიორში" თამაშობს, ინგლისური "შეფილდ იუნაიტედია" დაინტერესებული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიკნაძე გერმანიაში

„ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** უახლოეს პერიოდში გერმანიაში გამგზავრება. ახალგაზრდა სპეციალისტი სამთვიან სამწვრთნელო კურსებს გაივლის, ამას გარდა, ივი „შალკეს" საწვრთნელ პროცესს დაუკვირდება.

კიკნაძის არყოფნაში „ლოკომოტივის" თავკაცის ფუნქციებს მისი ასისტენტი **ზაზა ზამთარაძე** შეასრულებს.

„როგორც კი ყველა საჭირო საბუთს მოვაგროვებ, გერმანიაში მაშინვე გავფრინდები. ამ პერიოდს ნაყოფიერად გამოვიყენებ, ბევრ რამეს ვისწავლი, რაც სამომავლოდ აუცილებლად წამადგება", - ამბობს კიკნაძე.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ლოკომოტივის" საგურამოს ბაზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მომდევნო ეროვნულ ჩემპიონატში რკკინიგზელები მეტოქეებს სავარაუდოდ იქვე უმასპინძლებენ.

ლევან ჯანელიძეშვილი

მუჯირი ფალავანია

"სეპაჰანმა", სადაც 27 წლის მცველი **ჯაბა მუჯირი** თამაშობს, ზედიზედ მეორედ მოიგო ირანის თასი.

"სეპაჰანის" მეტოქე ფინალში "საბა ბატერი" იყო, ირანის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი. ფინალი ორ მატჩად გაიმართა - ისპაჰანელებმა ერთი კვირის წინათ 1:0 იმარჯვეს, გასულ უქმეებზე კი 3:0. მუჯირმა ორივე შეხვედრაში ითამაშა. სპარსული წყაროების ცნობით, "სეპაჰანის" დაცვა ფაქტობრივად უშეცდომოდ მოქმედებდა ორივე მატჩში. ეს ქართველის პირველი სპარსული ტიტული როდია. ჯაბა მუჯირს თუ ორი თასი დაუგროვდა, შარშან **ავქსენტი გილაური** ირანის ჩემპიონი გახდა თეირანის "ესტეღლალში".

"სეპაჰანი" წლეულს აზიის ჩემპიონთა ლიგაშიც ჩაუქობს, მეოთხედფინალში გავიდა და რამდენიმე დღის წინათ წილისყრით მისი მეტოქეც გაარკვია - 19 და 26 სექტემბერს ისპაჰანელები იაპონურ "კავასაკის" გაეჯიბრებიან.

ჯაბა მუჯირი (9)

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

დემეტრაძის საქმე წლის მოვლენაა

უკრაინაში სეზონი შეაჯამეს და ნინლებიც დაითვალეს. წლის სკანდალად, რა თქმა უნდა, "დემეტრაძის საქმე" მიიჩნიეს. შეგახსენებთ, რომ თებერვალში დონეცკის "მეტალურგის" ქართველმა ლეგიონერმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო უჩივლა.

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა პროცესი კიევის სასამართლოში ისე წააგო, სარჩელი ხეირიანად არც კი განიხილეს. როგორც ჩანს, საქმის სულისჩამდგმელი **დმიტრი სელიუკი** გაჩერებას არ აპირებს. ბოლო ინფორმაციით, დონეცკელთა ვიცე-პრეზიდენტი სარჩელის შეტანას ლოზანის სპორტულ არბიტრაჟში აპირებს. მართალია, ამჯერად საქმე სხვა მოტივით განიხილება, მაგრამ აშკარაა, მეტალურგთა მამას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს უკრაინის ფედერაციისგან ძველი და ბრიყვული წყენა.

ამჯერად მან თითოეული ლეგიონერის განაცხადში შეყვანისთვის 15 ათასი დოლარის გადახდის დაწესება გააპროტესტა.

მერაბ მამულაშვილი

ერთი წლით კვლავ ქარვანში

ალექსანდრე ინწკირველი ახალი გუნდის ძებნით იყო დაკავებული, როდესაც მას, ყოფილი გუნდის პრეზიდენტი დაუკავშირდა და მოლაპარაკების დაწყება სთხოვა. *"კვლავ "ქარვანში" ვრჩები, პრეზიდენტმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. კარგ პირობებზე შევთანხმდით და ერთწლიან კონტრაქტსაც მოვაწერე ხელი. მართალია, გუნდიდან ბევრი ლეგიონერი წავიდა, მაგრამ სამივე ქართველი, მე, გოჩა ტრაპაიძე და რომან ახალკაცი ვრჩებით",* - გვითხრა ინწკირველმა.

მას შემდეგ რაც გუნდიდან ლეგიონერები წავიდნენ, აქცენტი ადგილობრივებზე კეთდება და, აქედან გამომდინარე, გუნდი ისეთი ამბიციური ვეღარ იქნება როგორც წინა წლებში. *"ჩვენი მიზანი ალბათ ხუთეულში მოხვედრა იქნება, რადგან გუნდი დასუსტდა",* - ამბობს ლექსო.

"ქარვანის" პრეზიდენტმა გუნდით იმ მიზნებს ვერ მიაღწია, რაც სურდა, გული აიცრუა და გარკვეული დროით დაფინანსებაც შეუწყვიტა. მერე კი...

"პრეზიდენტი ისევ დაბრუნდა, დიდი ფული აქვს ჩადებული... სულ ახალი სტადიონი, ბაზა ააშენა. მართალია იმდენს ველარ დახარჯავს, მაგრამ გუნდს შეინახავს. ხუთი ლეგიონერი დაგვტოვა, ერთი ბრაზილიელი, ერთი კოტდივუარელი და ჩვენ, სამი ქართველი. ამით ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა დანარჩენებს ადგილობრივებით შეავსებს. 20 ივნისს ბაქოში ვიკრიბებით, შემდეგ კი თურქეთში გავივლით შეკრებას", - გვითხრა საუბრის ბოლოს ინწკირველმა.

ავთო ცეცხლაძე

თენგიზ სულაძველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია

აცხადებს
1990-2000 -წლებში
დაბადებულ ფეხბურთელთა
კონკურსს.
1990, 91, 92 და 93-წლიანებში
გამორჩეულები ჭაბუკთა
ლიგის გუნდში
ჩაირიცხებიან.

შერჩევა 25 ივნისიდან 30
აგვისტოს ჩათვლით
გაგრძელდება.

ტელეფონები:
52-60-01, 8-99-476727
მისამართი:
ლუბლიანას ქუჩა 19

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოქრისა და ბალეტის თეატრში, მართავეს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლენდებიან 11 ნომინაციაში. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 საათზე.

ბილეთის ფასი: პარტერი - 10 ლარი; ბალკონი - 5 ლარი.

საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ტელ: +995 32 912671 ; +995 32 917126

დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურლულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვახილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.
ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.
იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ალექსანდრე იაშვილი: ვაზისუბნიდან ვაზისუბანში

მშვიდი მწვრთნელი და ელზასური ღვინო

ალექსანდრე იაშვილი "ფრაიბურგიდან" "კარლსრუეში" კი გადავიდა სამწლიანი კონტრაქტით, მაგრამ ისევ იქ დარჩა, სადაც იყო – ბადენ-ვიურტემბერგში.

გერმანიის ამ მხარეში დედაქალაქი შტუტგარტია, თუმც კარლსრუეც რადია უმნიშვნელო ადგილი. კარლსრუეშია გერმანიის ფედერალური და საკონსტიტუციო სასამართლოები, იქვეა გერმანიის ორი უმთავრესი ინტერნეტპროვაიდერის სამყოფელი.

კარლსრუე მეთვრამეტე საუკუნეში დააარსა ბადენის მარკგრაფმა კარლმა. მის ბრწყინვალეპას იქაურობა დიდებულთა სავანედ უნდა ექცია, ასეც მოხდა, მაგრამ თანდათან იქ ქალაქიც გაშენდა. Karlsruher - სიტყვასიტყვით მშვიდ კარლს ნიშნავს და ქალაქსაც ამიტომ დაერქვა ეს სახელი.

კარლსრუეს მოსახლეობა სამასი ათასამდეა. ქალაქის მეოთხედი ტყეპარკებს მიაქვს, მწვანეში ჩაფლულს ტურისტებიც ხშირად სტუმრობენ. სხვა თუ არაფერი, კარლსრუე მდინარე რაინის ხეობაშია, გერმანული ვაზის მთავარ უბანში და სწორედ იქაური ყურძნისგან ამზადებენ უგემრიელეს ელზასურ ღვინოს. ბადენ-ვიურტემბერგი საფრანგეთსა და ბავარიას ყოფს, ისეთი ადგილია, სადაც ცხოვრებაც შეიძლება და ტურისტად ჩასვლაც.

"კარლსრუ" 1894 წელს დაარსდა, გერმანიის ჩემპიონი 1909 წელს გახდა, თასი კი 1955-56 წლებში ასწია. მას აქეთ კლუბი უტიტულოდაა. ბუნდესლიგაში 80-იანი წლებიდან მოიკიდა ფეხი, მერე ჩავარდნა ჰქონდა, 90-იან წლებში კი ზედიზედ რვა სეზონი დაჰყო ბუნდესლიგაში, სადაც წლეულს, ცხრა წლის შემდეგ დაბრუნდა.

კარლსრუეში დაიბადნენ და "კარლსრუეში" წამოიჩიტნენ **ოლივერ კანი** და **მეჰმეთ შოლი**. კანი იქიდან 1994 წელს გადავიდა "ბაიერნში", შოლი კი სამი წლით ადრე. 1994-98 წლებში "კარლსრუეში" თამაშობდა **თომას ჰესლერი**, თუმც მაშინ ის უკვე მიმქრალი ვარსკვლავი იყო, "კიოლნში", "იუვენტუსსა" და "რომაში" ჰქონდა გატარებული საუკეთესო წლები.

კარლსრუეში დაიბადა, მაგრამ "კარლსრუეში" არასდროს უთამაშია **ოლივერ ბირჰოფს**, ევრო96-ის ერთ-ერთ გმირს, ვინც 1998 წელს "უდინეზეში" სერია A-ს ბომბარდირი შეიქნა. კარლსრუე მისითაც ამაყობს.

2006-07 წლების სეზონში კლუბის მთავარი ხალხი **ჯოვანი ფედერიკო** და **ედმონდ კაპლანი** იყვნენ. ისინი მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო მეგოლეები გახდნენ - ფედერიკომ 19 ბურთი შეაგდო, ალბანელმა კაპლანიმ 17. ფედერიკომ 14 საგოლე პასიც გააკეთა, თუმც ამ მაჩვენებლით მას ათი გოლის გამტანმა იაშვილმა აჯობა - 15 საგოლე პასი. ფედერიკო დამდეგი სეზონიდან "დორტმუნდში" ითამაშებს და მის შემცვლელად "კარლსრუეს" ალბათ სწორედ იაშვილი ეგულება.

კარლსრუეს" ვილდპარკშტადიონი" 33 ათას კაცს იტევს, თუმცა ინდივიდუალური სკამი იქ მხოლოდ 15 ათასია. ბუნდესლიგაში აღზევებულ "კარლსრუეს" ვინძლო არენაც გამოუკეთონ.

გუნდის მწვრთნელი კი 49 წლის **ედმუნდ ბეკერი** გახლავთ. 80-იან წლებში ბუნდესლიგური "კარლსრუეს" მცველი იყო, უთამაშია ნახევარდაცვაშიც. ბეკერს ჯენტლმენის რეპუტაცია აქვს - "კარლსრუეში" ხუთი წელი ითამაშა და მხოლოდ 11 ყვითელი ბარათი მიიღო. ფეხბურთელ ბეკერის საუკეთესო მიღწევა ბუნდესლიგური მეცხრე ადგილია.

ის 2005 წლიდან წვრთნის "კარლსრუეს" და მწვრთნელობაშიც ორიგინალურია - არ წყინდება გუნდის გულშემატკივრებთან საათობით ყოფნა და მათი ყბედობის მოსმენა. კლუბს მწვრთნელიც ძალიან მშვიდი ჰყავს.

დავით თავართქილაძე

მათე ღვინიანიძე:

მიუნხენს ჩემი გაყიდვა ხელს აძლევს

ახალგაზრდა ქართველის მენეჯერმა მოლაპარაკება დაიწყო

მათე ღვინიანიძის კარიერა ზღაპრული სიუჟეტივით აეწყო. საქართველოს მესამე ლიგის "ნორჩ დინამოში" მოთამაშე, გულშემატკივრებისთვის აბსოლუტურად უცნობი მცველი უცებ რუსეთის ჩემპიონ "ლოკომოტივში" აღმოჩნდა, იქიდან კი "მიუნხენ1860-ში" და დღეს საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი იმედია.

მათე ახლა საქართველში ისვენებს, დიდი ხნის უნახავი მეგობრებისა და ნათესავების ნახვით გული იჯერა და "ლელოსთან" სასაუბროდაც მოიცალა.

- მათე, უპირველესად, სანაკრებო თემაზე შეგეკითხები. საფრანგეთში ტოპმიოლერმა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე გათამაშა. საიდან სადაო? რა იყო ეს, მოედანზე რეალურად ექვსი მცველი იყავით და 6-3-1 ტაქტიკით ითამაშეთ?

- მე ნახევარდაცვაში კონტრშეტევების ორგანიზება მევალებოდა. შეიძლება, ყველაფრის მიზეზი ის იყო, რომ მე ძლიერი დარტყმა მაქვს და რადგან ტოპმიოლერმა კონტრშეტევითი ტაქტიკა აირჩია, სწრაფი შეტევების დროს, კარში დარტყმა მევალებოდა.

სხვათა შორის, შეკრებების დროს, ყველასგან გამორჩეულად კარში დარტყმებზე ვარჯიში დამავალა. სამწუხაროდ, საფრანგეთს ვერაფერი მოვუხერხეთ, კარში, თუ არ ვცდები, ერთხელ თუ ორჯერ დავარტყით. სიმართლე გითხრათ, ისიც გაგვიხარდა, 0:1-ზე მეტი რომ არ წავაგეთ. კარგად გამიგეთ, რა, წაგება არც ერთ თავმოყვარე ფეხბურთელს არ სიამოვნებს. მინიმალური ანგარიშით წაგება მაინც წაგებაა და ხალხს ამით ვერ გაახარებ, მაგრამ რეალობას თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, საფრანგეთთან რა შანსი გვქონდა?

მოედანზე მეტოქის მიმართ რიდი იგრძნობოდა ჩვენ შორის და კონტრშეტევა ყველაზე სწორი და გამართლებული ტაქტიკა იყო. მეტოქის კლასიდან გამომდინარე ვამბობ - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ერთზე მეტი რომ არ გაგვიტანა, ესეც კარგი იყო. რაღაც კომპლექსი გვქონდა და თავისუფლად ვერ ვითამაშეთ.

- ეშველება ამ ჩვენს ნაკრებს რაიმე? ოღონდ, გულწრფელად გვითხარი, რასაც ფიქრობ.

- გულწრფელად ვიტყვი, დასამალი არც არაფერია. იქიდან დავიწყოთ, რომ უიმედოდ მოედანზე გასვლა უაზრობაა. თუკი არ გჯერა შენი თავის და გუნდის, ფეხბურთს უნდა შეეშვა. სპორტს შევეშვათ, ცხოვრებაში ასე არაა? უიმედო კაცს როდესმე რაიმე ღირებული შეუქმნია? მქონია ისეთი მომენტები, როდესაც არაფერი გამომდიოდა, მაგრამ როცა ვფიქრობდი, რომ ამ შრომას საბოლოოდ შედეგი მაინც უნდა მოეტანა, სულ სხვა ხალისი მეუფლებოდა.

რატომ ვამბობ ამ ყოველივეს? ჩვენი ნაკრების მჯერა და დარწმუნებული ვარ, დღეს თუ არ გაგვიმართლა, მომავალ ციკლში მაინც ავთამაშდებით. ამას ჰაერზე არ ვამბობ, გულით მჯერა, რადგან ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, კალაძე, კობიაშვილი, იაშვილი, ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი, კიდევ ბევრი. ასე მგონია, მათი პოტენციალი კარგად თავადაც არ ვიცით. იცით, გერმანიაში რამხელა პატივს სცემენ?

- საკლუბო საქმეებზე ვისაუბროთ. წლეულს "მიუნხენ 1860-ის" ბუნდესლიგაში გადასვლის დიდი იმედი გქონდათ, მაგრამ საბოლოოდ ხელი მოგეცარათ. რამ შეგიშალათ ხელი?

- პირველი წრე მართლა ძალიან კარგად ჩავატარეთ, მაგრამ მეორის დასაწყისში უპირატესობა ხელიდან გავუშვით. მიზეზი გასვლითი შეხვედრების სუსტად ჩატარება იყო. ისეთი მატჩები ვერ მოვიგეთ, ვალდებულები რომ ვიყავით, სამი ქულა აგვეღო. ბოლოსკენ გამოვფხიზლდით, შანსი ისევ გაგვიჩნდა, მაგრამ მაინც არაფერი გამოგვივიდა. თანაც, გერმანიაში ჩაწყობები არ მოსულა.

- ანუ?

- ანუ ის, რომ სუსტ გუნდებთან ქულებს არ დავკარგავდით. გერმანია სხვა ქვეყანაა. აქ თამაშის ჩაწყობაზე სიტყვაც არ მსენია. ამიტომაც აქვთ ძალიან მაღალი დონის ფეხბურთი, თუნდაც მეორე ბუნდესლიგაში.

- ახალი სეზონიდან "მიუნხენი" ბუნდესლიგაში გადასვლას აპირებს, თუ ჯერ საამისო ამბიცია არ გააჩნია?

- მე ისეთი ტრადიციის გუნდში ვარ, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში ყოფნას ვერასდროს შეეგუება. ახალი სეზონისთვის გავძლიერდებით. რამდენიმე მოთამაშე წავიდა, მაგრამ ზოგიერთ გამოცდილ და საჭირო ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტი გააფორმეს და კიდევ სამ-ოთხ კაცს დაიმატებენ. ასე რომ, ჩემპიონატს იმედით ველოდებით. ბუნდესლიგას უნდა დავუბრუნდეთ.

- ალბათ, "ალიანს არენაზე" თამაში მაგარი განცდაა.

- პირველად სტადიონზე ფეხი რომ შევადგი, 74 ათასი მაყურებელი მოვიდა. ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად ვნახე და რალა დაგიმალოთ, თავიდან ცოტა ავნერვიულდი. მაყურებელი იქით იყოს, გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის გრანდს, თანაქალაქელ "ბაიერნს" ვეთამაშებოდით, საიდანაც იმ დღეს ჯოვანი ელბერს აცილებდნენ. თანაც, ჩვენ და "ბაიერნი" დაპირისპირებული გუნდები ვართ, მიუნხენური დერბი კი ქალაქის ცხოვრებაში და თავად გუნდებისთვისაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

ვნერვიულობდი იმიტომაც, რომ მოედანზე ერთადერთი ქართველი ვიყავი, პირველად შემაფასებდა მიუნხენელი გულშემატკივარი და არ მინდოდა, გუნდი, მწვრთნელი, საკუთარი სახელი და ქვეყანა შემერცხვინა. პატარა ბიჭს სტადიონზე მთელი ქვეყნის სახელი გამქონდა. ვგრძნობდი, არ შევრცხვებოდი და თავს შთავაგონე, რაც შემეძლო, უნდა გამომეკლინა.

3:0 მოვიგეთ და უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. მერე პრესაშიც აღნიშნეს, რომ კარგად ვითამაშე. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ და მაინც, ახლაც გახსენებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- კარგი პრესა გაქვს, სპეციალისტებიც გაქებენ და ნუთუ ბუნდესლიგაში არ დაინტერესდნენ?

- გერმანელი აგენტი მეუბნება, მეორებუნდესლიგელს უფრო გაგიცნობს ევროპა, ვიდრე რუსეთის პრემიერლიგის ლიდერის წევრსო. მართალიცაა, დღეს გერმანიაში უკვე მიცნობენ და ეს ძალიან მახარებს. არის კიდეც რაღაც საუბრები, მენეჯერმა მითხრა, რომ რამდენიმე საინტერესო მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ სანამ ნაღდი ამბავი არ მეცოდინება, მანამდე ტრაბახს ხომ არ დავიწყებ? თუ გადაწყდება, მერე დასამალიც არაფერი მექნება.

- რამდენად სოლიდურ კლუბებზეა საუბარი?

- ბუნდესლიგის გუნდი თავისთავად სოლიდურია. არც მეორე ბუნდესლიგელებს დაეწუნებათ რამე.

- ჩვენ მაინც ყველაზე მეტად შენი ხილვა გაგვიხარდება "ბაიერნში", "შალკეში", "ვერდერში", "შტუტგარტში" - ამ ოთხეულიდან ერთ-ერთი მაინც დაინტერესდა? ბოლოს და ბოლოს, მიუნხენში თამაშობ და უკვე ცნობადი სახე უნდა იყო.

- არ მგონია. ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

- მოდი, დავაკონკრეტოთ, შეიძლება, უახლოეს პერიოდში გუნდი შეიცვალო?

- რა ვიცი... კონტრაქტი ორი წლის შემდეგ მიმთავრდება.

- თუმცა მისი გამოსყიდვაც შეიძლება.

- დასამალი არაა, რომ თავად "მიუნხენს" აწყობს ჩემი მანამდე გაყიდვა. მე არ ვამბობ, რომ ამას ახლავე აპირებენ, მაგრამ კონტრაქტის დამთავრებამდე უნდა გამყიდონ და ჩემში მოგებას ნახავენ. ასეთი რამ გუნდის გენერალურმა მენეჯერმა, შტეფან როიტერმა მითხრა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახლა თუ არა, დაინტერესებული კლუბებიდან ერთ-ერთს ერთი წლის შემდეგ მაინც დათანხმდებიან და გამიშვებენ. თუ არადა, თავისუფალი აგენტი გავხდები და უფასოდ წავალ.

სხვათა შორის, როიტერი ჩემი უფროსი მეგობარივითაა, მეტი შეგიძლია და არ უნდა გაჩერდეო. ასეთ თემებზე ცალკე გამიყვანს და ხშირად მესაუბრება, თავდაჯერებული რომ გავხდე, მამხნევებს, შეიძლება, როდესმე ჩავარდნა გქონდეს, მაგრამ ყურები არ ჩამოყარო და დიდ ფეხბურთს ითამაშებო.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. შეჯამება

ლოკომოტივი

ადგილი ჩემპიონატში: 8

ლოკომოტივი

	მატჩი	მოგება	ფრეები	გოლი	საჯარიმო	ფოლი
გვარამაძე (მკ.)	24	24	-29	2	-	
გ. კვახაძე	23	23	1	6	1	
ვ. გოჩაშვილი	22	22	7	6	-	
დ. ფოფხაძე	22	20	1	5	-	
გულორდავა	22	20	-	3	-	
თუთბერიძე	21	20	-	4	-	
გუშარაშვილი	19	19	2	6	1	
ჟღენტი	19	16	2	3	-	
ეგრალიძე	18	17	-	5	-	
კუპრეიშვილი	14	12	-	4	-	
ბარბაძაძე	14	5	-	3	-	
მალიჩავა**	12	12	1	2	1	
ალავერდაშვილი	12	7	4	2	-	
ყენია	11	11	3	1	-	
ჩომახიძე**	11	7	1	2	-	
სოსელია**	10	3	1	-	-	
სამხარაძე**	9	9	-	4	-	
ავალიანი*	9	8	-	1	-	
მიხაილიდი*	9	7	-	1	-	
ჩიკვაძე*	9	3	-	2	-	
ცხომარია*	7	6	-	2	-	
ბახტაძე	7	2	1	-	-	
მხეიძე*	6	4	-	-	-	
კირკიტაძე**	6	1	1	-	-	
ბუდალაშვილი	5	1	-	-	-	
დეისაძე*	5	1	-	-	-	
ეგანოიძე*	3	1	-	1	-	
ყიფიანი*	3	1	-	-	-	
ელიზბარაშვილი**	2	1	-	-	-	
აბულაძე*	1	1	-	-	-	
მიგინეიშვილი (მკ.)	1	1	-1	1	-	
ზუხბაია (მკ.)	1	1	-1	-	-	
ბარაბაძე*	1	-	-	-	-	
სარაჯიშვილი*	1	-	-	-	-	
კალანდია*	1	-	-	-	-	
ციკურიშვილი**	1	-	-	-	-	

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში



„გუნდში ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე დავინიშნე. დარჩენილ მატჩებში ნორმალური შედეგი ვაჩვენეთ, ქულათა საკმარისი რაოდენობა დავაგროვეთ და უმაღლეს ლიგაში ადგილი გადათამაშების გარეშე შევინარჩუნეთ. ეს ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ასე რომ, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ“.

საუკეთესო მატჩი

„სიონთან“ კარგად ვითამაშეთ და ძლიერ მეტოქეს დამსახურებულად ვძლიეთ“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„საკუთარ მოედანზე „დინამოსთან“ 0:3 გავნადგურდით. „ლოკომოტივს“ ამ მატჩში არაფერი გამოუვიდა“.

პლუსი

„ერთ მნიშვნელოვან ასპექტს გავუსვამ ხაზს - ფეხბურთელები საქმეს პროფესიონალურად უდგებიან, კარგად ათვითცნობიერებენ, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ“.

მინუსი

„ცუდია, რომ მხოლოდ უმაღლესში დასარჩენად ვიბრძოდით. ისეთი ტრადიციების მქონე გუნდს, როგორიც „ლოკომოტივია“, ეს არ ეკადრება“.

„ლოკომოტივის“ მიზანი იმთავითვე ნათელი იყო. გამოუცდელი შემადგენლობითა და საშუალო ფინანსური მდგომარეობით რკინიგზელები მხოლოდ უმაღლესში დარჩენაზე თუ იფიქრებდნენ. „დილასა“ და „კახეთის“ გამოკლებით, ცხრილის ქვედა ნაწილში თანაბარი ძალის გუნდები იბრძოდნენ და „ლოკომოტივმა“ საწადელს მხოლოდ ჩემპიონატის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე მიაღწია. ახალ სეზონში კლუბის ხელმძღვანელობას უფრო დიდი მიზნები აქვს და თუ გაუთვალისწინებელმა გართულებებმა არ შეაწუხა, კიკნაძე-ზამთარაძის ენერგიული დუეტის ხელმძღვანელობით, პროგრესი სავსებით რეალურია. „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ამირან მინაშვილი მეორე წრის შუაში გიორგი კიკნაძემ შეცვალა. განვლილი სეზონის შესახებ სწორედ მას ვესაუბრეთ.



გიორგი კიკნაძე
მთავარი მწვრთნელი

მომავალი სეზონი

„ჯერ ფიზიკურად ვემზადებით, უახლოესი სპარინგ-მატჩი 23 ივნისს გვაქვს „დინამოსთან“, 25-ში კი ურეკში გავემგზავრებით შეკრებაზე. მიზნად საუკეთესო ხუთეულში მოხვედრას დავისახავთ“.

საკადრო პოლიტიკა

„აქცენტს კვლავ ახალგაზრდებზე გავაკეთებთ, მაგრამ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც საჭიროა. კარგი შენაძენია **გიორგი მიქაძე**, რომელიც საჩხერის „ჩიხურადან“ გადმოვიყვანეთ“.

ფინანსური მდგომარეობა

„ნამდვილად არ გვაქვს კოლოსალური დაფინანსება, მაგრამ სამაგიეროდ, „ლოკომოტივი“ სტაბილურად არსებობს და ვითარდება. კლუბის ბიუჯეტი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ საუკეთესო ქართულ კლუბთა შორის დავმკვიდრდეთ“.

ჩემპიონატის რჩეულნი

„მიუხედავად იმისა, რომ მისი თამაში მეორე წრეში ფაქტობრივად, არ მინახავს, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად **თორნიკე აფციაური** მიმაჩნია. „ლოკომოტივის“ უდავო ლიდერი კი **დავით გვარამაძე** იყო.“.

ლოკომოტივი და ქომაგი

„ამ მხრივ, მდგომარეობა სავალალოა. „ლოკომოტივს“ საერთოდ არ ჰყავს გულშემატკივარი, სტადიონზე მხოლოდ ფეხბურთელების ახლობლები დადიან. მალე საშინაო თამაშებს საგურამოში ჩავატარებთ და ეგებ იქ მაინც გავიჩინოთ ქომაგი“.

ჩემპიონატის ფორმატი

„საქართველოს 10-გუნდიანზე დიდი უმაღლესი ლიგა არ სჭირდება. დღეს-დღეობით, ფინანსურად ძლიერი 14 კლუბი ნამდვილად არ გვყავს“.

გამორჩეული კოლეგები

„ამ სეზონის შედეგების მიხედვით, საუკეთესო მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი და გიორგი ჩიხრაძე არიან. მათ თავიანთი გუნდები ტიტულამდე მიზანმიმართული მუშაობით მიიყვანეს“.

მსაჯობა

„მეორე წრეში მსაჯობის დონე მკვეთრად დაეცა, იმედია, ახალ სეზონში ეს პრობლემა ასეთი თვალსაჩინო აღარ იქნება“.

გარიგებული მატჩები

„დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მატჩების ნახევარზე მეტი ჩაწყობილია. სანამ ბინძური გარიგებების მონაწილენი უმკაცრესად არ დაისჯებიან, ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. სამწუხაროდ, ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლის დიდ სურვილს ვერ ვხედავ“.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოლოვანი სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტი:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 355 — ტელეფონის დაყვანა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭირველად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

I ტური
29.07.06 ს ზესტაფონი 0:2

II ტური
06.08.06 ს ბორჯომი 1:1
გოლი: გოჩაშვილი

III ტური
20.08.06 შ მერანი 3:1
გოლები: გოჩაშვილი (2), ალავერდაშვილი

IV ტური
27.08.06 ს ოლიმპი 0:1

V ტური
09.09.06 შ ვიპ ჯორჯია 0:3

VI ტური
17.09.06 ს ჩიხურა 1:1
გოლი: გოჩაშვილი

VII ტური
23.09.06 შ ბათუმი 1:0
გოლი: ყენია

VIII ტური
14.10.06 ს დინამო 0:1

IX ტური
21.10.06 შ დილა 3:0
გოლები: გუშარაშვილი (2), ყენია

X ტური
29.10.06 ს ამერი 0:3

XI ტური
05.11.06 შ ტორპედო 0:3

XII ტური
18.11.06 ს სიონი 0:1

XIII ტური
26.11.06 შ კახეთი 1:0
გოლი: ალავერდაშვილი

XIV ტური
23. 02. 07 შ ზესტაფონი 1:4
გოლი: ფოფხაძე

XV ტური
02.03.07 შ ბორჯომი 0:0

XVI ტური
10.03.07 ს მერანი 1:1
გოლი: გოჩაშვილი

XVII ტური
17.03.07 შ ოლიმპი 0:1

XVIII ტური
31.03.07 ს ვიპ ჯორჯია 0:3

XIX ტური
7.04.07 შ ჩიხურა 0:0

XX ტური
13.04.07 ს ბათუმი 1:0
გოლი: გ. კვახაძე

XXI ტური
21.04.07 შ დინამო 0:3

XXII ტური
27.04.07 ს დილა 1:1
გოლი: ჟღენტი

XXIII ტური
5.05.07 შ ამერი 0:1

XXIV ტური
12.05.07 ს ტორპედო 3:1
გოლები: გოჩაშვილი, ჟღენტი, მალიჩავა

XXV ტური
16.05.07 შ სიონი 3:1
გოლები: ალავერდაშვილი, ყენია, კირკიტაძე

XXVI ტური
20.05.07 ს კახეთი 5:1
გოლები: ალავერდაშვილი, გოჩაშვილი, ჩომახიძე, სოსელია, ბახტაძე

ფლეიოფამდე
26 მატჩი, 8 მოგება, 6 ფრე, 12 წაგება, ბურთები 25-34, 30 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ბუცის ლაურეატი

აბა, ყველა გაისუსეთ!

ტოტის ჰგონია, რომ ოქროს ბუცის მოგებით კრიტიკოსები დაადუმა

როგორც გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, **ფრანჩესკო ტოტიმ** "ოქროს ბუცი" მოირგო. "პუპონემ" სერია A-ს ბოლო გათამაშებაში 26 გოლი გაიტანა და გულის ფანცქალით ელოდა "რეალი"-"მალიორკის" საკვირაო მატჩს (თუმცა ამ მატჩის მნიშვნელობა აშკარად მეტი იყო, ვიდრე ტოტის "ბუცი"). მადრიდელ **რუუდ ვან ნისტელროის** დუბლი სჭირდებოდა, ტოტისთვის რომ გადაესწრო და თავად დაპატრონებოდა ევროსნაიპერთა მთავარ ტიტულს. "რომას" კაპიტანს გაუმართლა: ჰოლანდიელმა გოლეადორმა მოედანი 33-ე წუთზე, ტრავმის გამო დატოვა და ტოტისაც ზეიმის დრო დაუდგა. შეგახსენებთ, რომ იტალიელი ფეხბურთელი "ოქროს ბუცს" ზედიზედ მეორედ იგებს. შარშან ეს **ლუკა ტონიმ** გააკეთა, როცა გაცილებით მეტი, 31 გოლი შეაგდო. უცნაურია, რომ ტონიმდე "ოქროს ბუცი" არც ერთ იტალიელ მოთამაშეს არ მოუგია. ახლა კი ისე წავიდა საქმე, რომ ბოლო ორი წელიწადია, სწორება უკვე სერია A-ს საბომბარდირო სტანდარტებზე ხდება. ისე კი, სხვა ჩემპიონატებში წლეულს ტოტიზე მეტიც გაიტანეს. მაგალითად, "ჰეერენვეენის" ფორვარდმა **აფონსო ალვეშმა** სულაც 34-ჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე და თან გაცილებით ნაკლებ შეხვედრაში, მაგრამ მოგეხსენებათ, გამარჯვებულის გამოვლენა კარგა ხანია სხვა სისტემით ხდება და როცა ჰოლანდიის ჩემპიონატი იტალიისას გაუტოლდება, მერე ასეთი ხალხიც მოიგებს "ოქროს ბუცს", როგორც ადრე **დუდუ ჯორჯესკუ** და მისთანები "იგებდნენ"...

...მაგრამ ჩვენ ტოტიზე ვსაუბრობთ. "ჯალოროსის" სიმბოლოს იმედი აქვს, რომ ამ წარმატებით კრიტიკოსები დაადუმა. აი, რა თქვა სინიორ ფრანჩესკომ: *"ერთი წლის წინათ, ბევრი ფიქრობდა, რომ იმ წყეული ტრავმის გამო კარიერას დავასრულებდი. იმასაც ამბობდნენ, თითქოს მარტო ეროვნულ ნაკრებში მექნებოდა ჩემი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი და ისიც, მხოლოდ და მხოლოდ, პოპულარობის გამო. როგორც ხედავთ, ამ უსარგებლო ლაყბობამ მხოლოდ წარმატება მომიტანა. მსოფლიო ჩემპიონი ვარ, გუნდთან ერთად გავიმარჯვე იტალიის თასზე და აი, ბოლოს "ოქროს ბუციც" მოვიგე. ასე რომ, მაქვს სერიოზული მიზეზი, 17 ივნისი ჩემს კალენდარზე საგანგებოდ შემოვხაზო. სხვათა შორის, 6 წლის წინათ სწორედ ამ დღეს გახდა "რომა" იტალიის ჩემპიონი".*

შემდეგ ტოტიმ ვან ნისტელროიზეც გააკეთა კომენტარი. ის ჰოლანდიელს ღირსეულ კონკურენტად მიიჩნევს: *"რა თქმა უნდა, გახარებული ვარ გამარჯვებით, მაგრამ გულწრფელად მწყდება გული ვან ნისტელროის გამო, რომელიც იძულებული გახდა, მოედანი ნაადრევად დაეტოვებინა. ის დიდი ჩემპიონია. ჩემთვის ერთი სიამოვნება იყო რუუდთან ჭიდილი და ვთვლი, რომ ტიტული მანაც დაიმსახურა... რაც შეეხება ჩემს "ოქროს ბუცს", მას ოჯახს ვუძღვნი, ვუძღვნი ჩემს შვილსა და იმ ხალხს, ვისაც ჩემი ყოველთვის სჯეროდა*

ფრანჩესკო ტოტი

და სჯერა. დიდი მადლობა მათ და განსაკუთრებით, "რომას" პრეზიდენტ ფრანკო სენსის. ის ღელავდა ჩემს გამო და მხარს მიჭერდა. კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ მომავალში პრეზიდენტს სამაგიეროს უფრო დიდი გამარჯვებით გადავუხდი".

ტოტის არაფერი უთქვამს თავის სანაკრებო მომავალზე, რაც ბოლო ხანებში სასპეკულაციო თემად იქცა. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს, დასაჯოს "რომას" კაპიტანი, თუკი შემოდგომის შესარჩევებისთვის (მათ შორის, 13 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთანაც) **რობერტო დონადონის** კიდევ ერთხელ ეტყვის უარს. წინ კი ისეთი თამაშებია, რომ "სკუადრა აძურის" დამრიგებელს მისი სამსახური უსათუოდ დასჭირდება. ვნახოთ, რა მოხდება სექტემბრამდე. ისე კი ფაქტია, რომ ტოტის "ოქროს ბუცი" დამატებითი არგუმენტია საიმისოდ, რომ დონადონის ზარი უპასუხოდ აღარ დატოვოს. მაგრამ აქ თავმოყვარეობის მომენტიცაა: შეიძლება, "დონმა" აღარც დაუძახოს ტოტის, სულ რომ ვარსკვლავებს წყვეტდეს. ალბათ, ასე უფრო მართებული იქნება... თუმცა, რა ჩვენი საქმეა.

სავარაუდო ტრანსფერი

ბელამის იტალიური შანსი

რომა თუ იუვენტუსი? ბენიტესს მანსინის იმედი აქვს

ბრიტანულ პრესაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. "იუვენტუსი" და "რომა", თურმე, **კრეიგ ბელამის** გადაბირებით ყოფილან დაინტერესებულნი. იტალიური გრანდები თავდასხმის გაძლიერებას ცდილობენ, ბელამის ლივერპულური პოზიციები კი საკმაოდ შერყეულია. მართალია, 27 წლის ფორვარდს მერსისაიდელთა შორის დარჩენა სნადია, მაგრამ **რაფა ბენიტესი** მზადაა, შეთავაზებები განიხილოს. როგორც "გარდიანი" წერს, **კლაუდიო რანიერიმ** უკვე საქმის კურსში ჩააყენა "იუვეს" მესვეურნი და ტრანსფერს ნიადაგიც მოუსინჯა. იმავე გაზეთის მტკიცებით, უელსელი თავდამსხმელი 12 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. ტურინული მხარე 10 მილიონს იძლევა.

როგორც გითხარით, ბელამიზე თვალი "რომასაც" უჭირავს. ბენიტესს ამ შემთხვევაში უფრო მეტი ინტერესი აქვს. საქმე ისაა, რომ ესპანელ სპეციალისტს ძალიან მოსწონს "ჯალოროსის" ბრაზილიელი გარემარბი **ამანტინო მანსინი**. აქ ვაჭრობა უკვე შეიძლება. თუ "რომა" მართლაც სერიოზულადაა დაინტერესებული ბელამის გადაბირებით, "ლივერპული" ფასს დასწევს, სანაცვლოდ კი მანსინის მიიღებს - ალბათ, ასეთია ბენიტესის გათვლა. ბოლო ამბებიდან ჩანს, რომ მას ეს ფორვარდი აღარ სჭირდება. ბელამიმ აშკარად მოუკლო თამაშს და ამის მიზეზი, შეიძლება, გოლფით ზედმეტი გატაცებაც იყოს.

გარდა იტალიურისა, "გარდიანის" ინფორმაციით, ბელამის აყვანა ინგლისურ კლუბებსაც სურთ. ამათ შორის, "ვესტ ჰემს", "ასტონ ვილასა" და "ბლეკბერნს" ასახელებენ. ცნობისთვის, ბოლო სეზონში ბელამიმ, სხვადასხვა ტურნირში, 42 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 9 გოლი გაიტანა. ამ ფონზე, იტალიური კლუბების მხრიდან მისით დაინტერესება, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

კრეიგ ბელამი

ბილბაო უმწვრთნელოდ

ბილბაოს "ატლეტიკი" უმწვრთნელოდ დარჩა. **ხოსე მანუელ ესნალმა** პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, ბასკები პრიმერა დივიზიონში დატოვა და სახლში წავიდა. ივლისში ბილბაოელები ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ახალი პრეზიდენტი კი მისთვის სასურველ კანდიდატს მონახავს. მანემ კლუბი გასული წლის ნოემბერში, **ფელიქს სარიუგარტესგან** გადაიბარა. იმხანად ატლეტიკი გასავარდნ ზონაში იმყოფებოდა. ბასკური კლუბი უმაღლესი დივიზიონიდან არასოდეს გავარდნილა. ამ უქმეებზე მან შინ "ლევანტე" დაამარცხა, 2:0 და სახიფათო ზონას ერთი ქულით ასცდა.

აგირე კალდერონზე დარჩება

"ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ მიმდინარე სეზონი უარყოფითად შეაფასა. **ენრიკე სერესოს** თავიდან იმედი ჰქონდა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებდა. ცხოვრებამ გამოააშკარავა, რომ პრეზიდენტის ოპტიმიზმი უტოპიად გადაიქცა. ამის შემდეგ სენიორ სერესომ ბიჭებს უეფას თასის საგზურის მოპოვება დაუსახა მიზნად. როგორც იცით, "ატლეტიკომ" ეს ამოცანაც ვერ გადაჭრა. მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ პრეზიდენტი **ხავიერ აგირეს** კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებდა. ისინი მთავარი მწვრთნელის გადაყენებას ელოდნენ, თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ პროგნოზი არ გამართლდება. "როხიბლანკოს" პრესსამსახური გვამცნობს, რომ უახლოეს დღეებში მექსიკელ სპეციალისტს ხელშეკრულებას გაუხანგრძლივებენ. ამ საკითხს უახლოეს დღეებში მოეფინება ნათელი. ჟურნალისტების უამრავი მცდელობის მიუხედავად, აგირემ კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

ხერარდ პიკე გუდიონსენის სანაცვლოდ

"მანჩესტერი" "ბარსელონასთან" მოლაპარაკებებს აგრძელებს. "ეშმაკებს" ახალგაზრდა ესპანელი მცველის **ხერარდ პიკეს ეიდურ გუდიოსენში** გაცვლა სურთ. პიკე "იუნაიტედის" საკუთრებაა. მან გასული სეზონი იჯარით "სარაგოსაში" გაატარა. **სერ ალექს ფერგიუსონს** ძლიერი თავდამსხმელი სჭირდება. ლუის საა და ოლე გუნარ სოლსკიაერი დაშავებულები არიან. **ალან სმიტი,** შეიძლება, "ტოტენჰემში", "ასტონ ვილაში" ან "ევერტონში" გაიყიდოს. პიკე "ბარსელონის" აღზრდილია. ის ინგლისში სამი წლის წინათ უფასოდ გაემგზავრა. მის ტრანსფერს დიდი ხმაური მოჰყვა. "იუნაიტედი" სატრანსფერო კანონმდებლობის დარღვევაშიც კი დაადანაშაულეს. კატალონიელებს ყმაწვილის დაბრუნების საშუალება ეძლევათ, თუმცა სარაგოსელები იმედს არ კარგავენ, რომ ხერარდი მათ დარჩებათ. არაგონელებმა "მენიუს" 7 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. "ეშმაკები" რამდენიმე მილიონით მეტს ითხოვენ. პიკეს "მანჩესტერში" თინეიჯერი **ჯონი ევანსი** შეცვლის.

არის თუ არა მაკლარენი დამნაშავე?

ცნობილი ბრიტანელი საფეხბურთო აგენტი **ბარი სილკმენი ლორდი სტივენსის** მოხსენებას გამოეხმაურა. მას რამდენიმე ტრანსფერის გამო ედავებიან და საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ. სილკმენი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. ის ამბობს, რომ სატრანსფერო კანონმდებლობა არასოდეს დაურღვევია, მაგრამ თუ მაინც ჰგონიათ, რომ დამნაშავეა, ესე იგი, ინგლისის ნაკრების თავკაცი სტივ მაკლარენიც დამნაშავე ყოფილა. ლორდი სტივენსის კომისიამ საეჭვოდ მიიჩნია სილკმენის შუამავლობით განხორციელებული ორი ტრანსფერი, რომლის შედეგად **იაკუბუ აიეგბენი** და **ფაბიო როშემბაკი** "მიდლსბროში" ჩაირიცხნენ. იმხანად რივერსაიდელთა დამრიგებელი მაკლარენი იყო. სილკმენი ამბობს: *"თუ იმას მედავებიან, რომ ტრანსფერებისას მწვრთნელს ფული მივეცი, ესე იგი, ფული მაკლარნისთვის მიმიცია. მაგრამ თუ ეს არაფერ შუაშია, მაშინ, რატომ დამასახელეს ეჭვმიტანილად."*



სამუელ ეტოო

მილანი

გალიანიმ თამაში გახსნა: მთავარია ეტოო!

ესპანეთის ჩემპიონატს კვირას დაესვა წერტილი და როგორც მოსალოდნელი იყო, **ადრიანო გალიანი** პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა აღიარა, რომ ზაფხულის ყველაზე სასურველი შენაძენი **სამუელ ეტოო** იქნება, ანუ, "როსონერი" ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ კამერუნელ ფორვარდს "სან სიროზე" უკრას თავი. ამ თემაზე საუბრები ცოტა ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ რაკი პრიმერა დივიზიონი დასრულებული არ იყო, "მილანი" ღიად თამაშს ერიდებოდა. მას უკვე მოუვიდა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ბარსელონელ კოლეგებთან, როცა ერთ-ერთ გაზეთში ეტოოზე ისაუბრა. სინიორ ადრიანო იძულებული გახდა, ყველაფერი ჟურნალისტისთვის დაებრალებინა. ახლა მას გზა ხსნილი აქვს. ამ დღეებში "მილანი" ოფიციალურ შეთავაზებას გააკეთებს.

"გვინდა თუ არა რონალდინიო? უნდა გითხრათ, რომ ჩვენთვის მთავარი სამუელ ეტოოა. დიახ, ის პირველია ჩვენს სიაში. თუ ფინანსური თვალსაზრისით ტრანსფერი ჩვენთვის მისაღები აღმოჩნდება, ეტოო მილანში ჩამოვა, თუ არა და, ახალ სეზონს იმ ბიჭებით დავიწყებთ, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგეს, პლუს რონალდო. მას უკვე შეეძლება მთავარ ევროტურნირზე თამაში" - თქვა გალიანიმ "გაძეტა დელო სპორტისთვის" გაკეთებულ კომენტარში.

რაკი პირველი ეტოოა, შეიძლება, სადღაც მეორე-მესამე **რონალდინიოც** იყოს. ეს, ალბათ, სათადარიგო ვარიანტი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ეტოოს ტრანსფერი არ გამოვა. ცხადია, რონალდინიო ეტოოს პირდაპირი ალტერნატივა ვერ იქნება, მაგრამ სილვიო ბერლუსკონის ხომ პირობა აქვს დადებული, რომ ამ ზაფხულს ერთი მეგავარსკვლავი უნდა იყიდოს. ესპანეთის ჩემპიონატის შედეგებიდან გამომდინარე კი, "ბარსელონაში" სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. შესაძლოა, გუნდი ეტოომაც დატოვოს და რონალდინიომაც. ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ჩემპიონობის იმედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, "ბარსაში" დარჩენა ორივეს სურდა, მაგრამ საინტერესოა, ახლა რა ჭკუაზე არიან. ისეც არ შეიძლება, რომ ტიტულის დაკარგვა ცხოვრების დასასრულს გაუტოლდეს, მაგრამ ხსენებულ ცვლილებებზე ბევრად ადრე დაიწყო საუბრები. როგორც ჩანს, **ხოან ლაპორტას** "ახალი სისხლი" უნდა. სადღაც მართალიცაა: "ბარსას" ამ შემადგენლობამ მოტივაცია დაკარგა. გავიხსენოთ, რომ შარშან გუნდმა პრიმერა დივიზიონიც მოიგო და ჩემპიონთა ლიგაც. მომავალში ამას სხვა ხალხი შეეცდება... და ალბათ, სხვა მწვრთნელიც...

ჩვენ კი დავუბრუნდეთ "მილანს" და გალიანის კიდევ ერთ კომენტარს გავეცნოთ. გასულ კვირას, ბერლუსკონიმ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, რომ თუ **ანდრეი შევჩენკოსა** და ეტოოს შორის არჩევანზე მიდგება საქმე, უპირატესობას უკრაინელ ფორვარდს მიანიჭებს - იმიტომ, რომ რომანტიკოსი ვარო, - ასეთი ახსნა მოუძებნა მან შევჩენკოს დაბრუნების იდეას. მაგრამ ამ შემთხვევაში, გალიანის პასუხი ბუნდოვანია:

"ბერლუსკონი და მე ყველა საკითხში ვთანხმდებით. ასე იყო ბოლო 30 წლის განმავლობაში და გარწმუნებთ, ასეა ახლაც. და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ საერთო ინტერესი გვაქვს. ეს ინტერესი კი მხოლოდ "მილანი" და მისი კეთილდღეობაა. რაც შეეხება ეტოოს... არის თუ არა კამერუნელი ფორვარდის ყიდვა საუკეთესო გადაწყვეტილება? იცით, მე არ შემიძლია ამაზე პასუხი გაგცეთ. არის ბევრი გზა, რომელსაც შეიძლება დავადგეთ. ვნახოთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ემოციები ჩემპიონობის შემდეგ

კვირის ბოლოს ბერნაბეუზე ბერნდ შუსტერს ელიან

პრეზიდენტმა კალდერონმა კაპელოს გამარჯვება არ მიულოცა...

გასულ კვირას მადრიდის "რეალმა" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული 30-ედ მოიპოვა. გულშემატკივრები ამ დღეს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. "მალიორკასთან" მატჩის დასრულების შემდეგ ინჩადამ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ნამდვილი ფიესტა წამოიწყო. ხელმძღვანელობა ზეიმისთვის მომზადებული აღმოჩნდა. სტადიონზე სახელდახელო ღონისძიება გაიმართა. თეატრალური ნაწილის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუ" მთლიანად ჩააბნელეს და მაშხალები ააფეთქეს. მართლაც ლამაზი სანახავი იყო, მაგრამ როგორც ყოველთვის, ფიესტის მთავარი ნაწილი სიბელესზე უნდა გამართულიყო. "რეალის" დირექტორატმა ღია ავტობუსი დაიქირავა და ფეხბურთელები ქალაქის მთავარ მოედანზე გაამგზავრა. სიბელესზე მოთამაშეებს 600 ათასზე მეტი ქომაგი ელოდა. როგორც ამბობენ, ამდენი ხალხი ქუჩაში ბოლოს მაშინ გავიდა, როცა სამეფო კლუბმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა თასი მეშვიდედ მოიპოვა. ინჩასები გათენებამდე არ დაშლილან. ზეიმმა კულმინაციას ღამის 2 საათზე მიაღწია. "რეალის" ფეხბურთელები შადრევანს გარს შემოეხვივნენ. იმისთვის, რომ მონუმენტი არ დაეზიანებინათ, მადრიდის მერიამ საგანგებო კვარცხლბეკი დაამზადა. ბოლოს **რაული** სიბელესის მეეტლის თავზე აცოცდა და მას "რეალის" დროშა მოახვია. ამ ტრადიციას უდიდესი ოვაციები მოჰყვა. შემდეგ გულშემატკივრებმა **დევიდ ბექჰემი** და **რობერტო კარლოსი** გამაყრუებელი ტაშით გააცილეს. როგორც იცით, ინგლისელი ვარსკვლავი ამერიკაში მიდის, ბრაზილიელი კი "ფენერბაჰჩეში" გააგრძელებს კარიერას.

მოგვიანებით, საზოგადოების წინაშე **პრედრაგ მიატოვიჩი** სიტყვით წარდგა: *"ეს თქვენი გამარჯვებაა, რადგან თქვენი თანადგომის გარეშე ვერაფერს შევძლებდით. მივესალმოთ ჩემპიონებს და მადლობა გადავუხადოთ თავგანწირვისთვის. ბიჭები მართლაც გმირულად იბრძოდნენ. მჯერა, ამ გამარჯვებით ახალი ერა დაიწყო. ყველა ხედავთ, ფეხბურთელები მომავალი სეზონის მაისურებში არიან გამოწყობილები. ამ მაისურებით გაისად ჩემპიონთა თასს მეათედ დავისაკუთრებთ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის და მთელი გულით გილოცავთ ამ უდიდეს წარმატებას."*

სადღესასწაულო საღამოს **ხუან რომან კალდერონს ფაბიო კაპელო** გაკვრითაც არ უხსენებია. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელმა სპეციალისტმა გუნდის აღორძინებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, მისი მომავალი ჯერაც ბურუსითაა მოცული. სინიორ ფაბიო გარკვევით ამბობს, "რეალთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ძალიან მინდა, აქ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დავრჩეო. კალდერონი დუმს და ეს დუმილი ჭორების დიდი ტალღის აგორებას უწყობს ხელს. მადრიდში მოარული ხმების თანახმად, პრეზიდენტი კაპელოს ვადამდე გაათავისუფლებს და მის პოსტს **ბერნდ შუსტერს** ჩააბარებს. ისიც ითქვა, გერმანელი მწვრთნელი სამეფო კლუბის ოფისში ამ კვირის ბოლოს მივა და კონტრაქტს გაუფორმებენო. მიმომხილველთა უმრავლესობას ვერ გაუგია, რატომ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ კაპელოს მომავალი. მან ხომ ოთხწლიანი პაუზის შემდეგ გუნდს ჩემპიონის ტიტული დაუბრუნა. თავსატეხის ამოხსნისას ექსპერტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ სენიორ კალდერონმა შუსტერს წინასწარი კონტრაქტი მართლაც გაუფორმა. თუ ასეა, მაშინ ბატონ ხუან რომანს მიცემული სიტყვის დარღვევა გაუჭირდება. ასეა თუ ისე, კაპელოსთვის ჯერაც არავის უთქვამს, გააგრძელებს თუ არა მუშაობას. შესაძლოა, უახლოეს მომავალში საკითხს ნათელი მოეფინოს, თუმცა აპენინელს ახლა წარმოდგენა არ აქვს, მომავალი სეზონის დაწყებისას სად იქნება. კაპელოს ინტერვიუს თუ წაიკითხავთ, აღმოჩენთ, რომ მწვრთნელი მეტისმეტად სევდიანია. არადა, გაჩემპიონებით მას ყველაზე მეტად უნდა გაეხარა. ამ ყველაფრის შესახებ ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი კვლავ სიბელესურ ამბებს დავუბრუნდეთ. სამწუხაროდ, ფიესტას უსიამოვნო ინცინდენტების გარეშე არ ჩაუვლია. ჭყლეტვის, ინტოქსიკაციისა და პოლიციის დანაყოფებთან შეტაკების გამო 180 ადამიანი დაზარალდა. ეგრეთ წოდებულმა ულტრასებმა, რომლებიც სიბელესზე არაფხიზელ მდგომარეობაში მივიდნენ, ხალხის მასაში მაშხალები დაანთეს. კვამლით შეწუხებულმა რამდენიმე ადამიანმა გონება დაკარგა. ულტრასებმა ესეც არ იკმარეს და პოლიციის სრულიად კანონიერ მითითებას ცივილიზებულად მოქცევის შესახებ, ბოთლების სროლით უპასუხეს. შეშინებული ინჩასების ერთი ნაწილი გასასვლელებს მიაწყდა. ჭყლეტვაში მოყოლილებმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს. პოლიცია გადამჭრელ მოქმედებაზე გადავიდა და ძალის გამოყენებით ულტრასების იზოლირება შეძლო. ვაი გულშემატკივრების გამო, 22 ადამიანს ზეიმი ტანჯვად ექცა. ისინი სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოებში გადაიყვანეს. გუშინ დილით მადრიდის საქალაქო პოლიციის სპიკერმა **მანოლო ბატიკონმა** საგანგებო განცხადება გააკეთა: *"ვწუხვართ, რომ ულტრასების უმსგავსო საქციელის გამო სრულიად უდანაშაულო ხალხი დაზარალდა. დიდ მასაში შერეული ხულიგნების იზოლირება არასოდესაა იოლი. მასობრივი ჭყლეტვის თავიდან ასაცილებლად მოზომილად ვმოქმედებდით. მიუხედავად ამისა, მცირე ჭყლეტვას მაინც ვერ გავექეცით. საბედნიეროდ, სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა არავის მიუღია. ჩვენმა თანამშრომლებმა 34 ულტრასი დააკავეს. მათ წინააღმდეგ საქმეს აღვძრავთ. სასამართლოში წავალთ და მტკიცებულებებს წარვადგენთ. ზოგს ალბათ, პირობითი სასჯელით დარბაზიდანვე გაათავისუფლებენ. ზოგს კი ბოროტი ხულიგნობისთვის დიდ ხანს მოუწევს გისოსებს მიღმა ყოფნა."*

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

კალდერონი, ალბათ, ახალ არქიტექტორს დაუძახებს

იტალიელ სპეციალისტს პრეზიდენტის თანადგომა არასოდეს უგრძვნია...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფაბიო კაპელო, დიდი გამარჯვების მიუხედავად, საკმაოდ სევდიანი და მოწყენილი გახლდათ. ჟურნალისტებს ეს გარემოება თვალთახედვის არედან არ გამოპარვიათ. გუშინ იტალიელმა სპეციალისტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

- საფინალო სასტვენის შემდეგ თქვენმა შეგირდებმა ფიესტა წამოიწყეს. ისინი გადარეულებივით აქეთ-იქეთ დარბოდნენ. თქვენ კი სრულიად მარტო მოედნის ცენტრში იდექით და ხმას არავის სცემდით. საინტერესოა, რას ფიქრობდით იმ დროს?

- მიყვარს ჩემს ფიქრებთან ერთად მარტო დარჩენა. ფაქტობრივად, წაგებული ჩემპიონატი მოვიგეთ. ამ წარმატებას ყოველგვარი დახმარების გარეშე მივაღწიე. სიბელესამდე ყოველდღიური შრომითა და თავგანწირვით მივედით. მოედანზე პრაქტიკულად, სისხლს ვღვრიდით. მსურს, გულწრფელად გესაუბროთ. არც ესპანეთსა და არც იტალიაში არასდროს არავინ მეხმარებოდა.

- ეს როგორ გავიგოთ?

- როგორც გენებოთ. ბევრს ჰგონია, რომ "იუვენტუსსა" და "რეალში" მსაჯები მეხმარებოდნენ. ეს აბსურდია. ვერ გაიხსენებთ თუნდაც ერთ შეხვედრას, რომელიც არბიტრების წყალობით მოვიგეთ. პირიქით, წლეულს მსაჯებმა არაერთი უმნიშვნელოვანესი ქულა დაგვაკარგინეს. ზოგი კი ფიქრობს, კაპელოს გუნდის ხელმძღვანელობისგან აბსოლუტური მხარდაჭერა ჰქონდა და ყველა კაპრიზს უსრულებდნენო. ესეც მცდარი შეხედულებაა.

- მეტისმეტად ნატანჯი და დათრგუნული ჩანხართ...

- ძალიან რთული მატჩი გვქონდა. "მალიორკამ" გოლი გაგვიტანა და იძულებულები გავხდით, ვა ბანკზე წავსულიყავით. დიდი ძალებით შეტევა მოწინააღმდეგეს კონტრიერიშების ორგანიზების შესაძლებლობა ეძლეოდათ. რა თქმა უნდა, დიდი საფრთხის წინაშე ვიდექით, მაგრამ ყველა გამოცდას გავუძელით და ჩემპიონები გავხდით. არ დავმალავ, თამაშის მსვლელობისას ბევრი ვინერვიულე.

- გააგრძელებთ "რეალში" მუშაობას?

- ეს არ არის ჩემზე დამოკიდებული. გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. ყველა ბერკეტი კალდერონს უპყრია ხელთ. ბოლო შეხვედრაზე გარკვევით ვუთხარი, რომ მუშაობის გაგრძელება მსურს. ზოგაგად, თავს არასოდეს ვიმცირებ, მაგრამ ამჯერად საკუთარ სტილს ვუღალატე და საუბარი მე წამოვიწყე.

- რა გიპასუხათ კალდერონმა?

- არაფერი უთქვამს. უბრალოდ, გაიღიმა და წავიდა. თუ მას არ სურს ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელება, დროულად მითხრას. არ მინდა ვიფიქრო, რომ რაღაც თამაშის ჭანჭიკი ვარ. ჩემს თავს ამას არ ვაკადრებ. მოკლედ, აუცილებლად უნდა მითხრან, რა გეგმები აქვთ.

- როგორ ფიქრობთ, ვისი ცუდი მუშაობის გამო ჰქონდა "რეალს" სერიოზული პრობლემები?

- ბევრი პროფესორი და მენტორი ვიცი, რომელიც მთელი ცხოვრება მხოლოდ ტელევიზორში უყურებს ფეხბურთს. ველი, რომ აწ უკვე დაძლეულ პრობლემებში, ისევ და ისევ, მე დამადანაშაულებენ. კაპელოსკენ მხოლოდ ჟურნალისტები არ გამოიშვერენ ხელს. ზოგადად კრიტიკა არ მაღიზიანებს, თუმცა ვცოფდები, როცა უმეცარი და არაკვალიფიციური ადამიანები მლანძღავენ. მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან ჩამისაფრდნენ და შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ წელს ქვემოთ დაერტყათ. ეს ხალხი კაბინეტებში ზის და მინიმალური წარმოდგენაც არ აქვს, რა არის ფეხბურთი.

- ამბობენ, კაპელოს ძირითად შემადგენლობას ზემოდან კარნახობდნენო...

- არ ვიცოდი, ეს რაღაც ახალია. ისღა მაკლია, ქალივით მიხმარონ. არასოდეს არც ერთი პრეზიდენტისთვის, ან გენერალური დირექტორისთვის არ მიმიცია იმის უფლება, რომ ჩემს საქმეში ცხვირი ჩაეყოთ. კალდერონსა და მიატოვიჩს ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტებაში არასოდეს მიულიათ მონაწილეობა. ამას არათუ ისინი, ღმერთიც კი ვერ გამიბედავს. რა ბედნიერები ხართ, ფიქრობთ, რომ კაპელო დაძაბუნდა, მას თავზე ფეკალურ ექსტრემენტებს ადებენ და ამ აზრით მოხიბლულები ხართ. არ მინდა ვიფიქრო, რომ ცხოვრებას ამდენად ბანალურად აღიქვამთ.

- ვის უძღვნით საჩემპიონო ტიტულს?

- ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავსა და მთელ დედამიწაზე მეტად მიყვარს. რა თქმა უნდა, გამარჯვებას ჩემს დიდ ოჯახს ვუძღვნი.

- რამდენიმე თვის წინათ დაგვპირდით, სეზონის დასრულების შემდეგ ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომებს გაგიმხელთო. პირობა ძალაშია?

- რა თქმა უნდა. მე არასოდეს ვარღვევ პირობას. ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა დევიდ ბექჰემისადმი ცუდი დამოკიდებულება გახლდათ. მას არ ვათამაშებდი, რადგან გავბრაზდი, რომ "გალაქსისთან" წინასწარი კონტრაქტი გაფორმა.

- "ბაიერნთან" სამი საყრდენი ნახევარმცველის დაყენებას შეცდომად არ მიიჩნევთ?

- ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ ფაბიო კაპელო დაცვაზე გაგიუებული მწვრთნელია. ეს თქვენი შეხედულებაა. ფეხბურთელებთან კი მხოლოდ მე ვმუშაობ. მერწმუნეთ, ჩემზე კარგად არავინ იცის, რომელ ფეხბურთელს რისი უნარი შესწევს. ყოველთვის მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით ვმოქმედებდი. როგორ გგონიათ, იმ მომენტისთვის ფორვარდები საუკეთესო ფორმაში რომ ყოფილიყვნენ, აქცენტს დაცვაზე რატომ გავაკეთებდი? უამრავჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ძლიერი უკანა ხაზის გარეშე არაფერი გამოვა... თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეტევა ფეხებზე მკიდია. გაიხსენეთ, რამდენი გოლი გავიტანეთ ბოლო შეხვედრებში. რუუდ ვან ნისტელროიმ "რეალში" ფრთები გაშალა. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ფაბიო კაპელოს შემტევი ფეხბურთი აშინებს.

- კალდერონმა ჩემპიონობა როგორ მოგილოცათ?

- (იცინის)...

- გაუგებარი პასუხია...

- საერთოდ არ მოულოცავს.

- როგორ?

- აი, ასე, არ მოულოცავს და მორჩა.

- და მაინც, როგორ ფიქრობთ, შეინარჩუნებთ თანამდებობას?

- ვნახოთ. გულწრფელად რომ გითხრათ, კალდერონი, ალბათ, ახალ არქიტექტორს დაუძახებს. პრეზიდენტის თანადგომა და დახმარება ფაქტობრივად, არასოდეს მიგრძვნია.

ილია ნიკოლაიშვილი

მოურინიომ მაკარტი მოიკითხა

ჟოზე მოურინიომ ბენი მაკარტის დაადგა თვალი. ბლექბერნელმა თავდამსხმელმა სეზონი 18 გოლით დაასრულა. ის გასულ ზაფხულს "პორტუდან" 1.8 მილიონ გირვანქად შეიძინეს. ვარდების თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** მაკარტის აბარგება კატეგორიულად გამორიცხა. მოურინიო ბენის "პორტუდან" იცნობს. 2004 წელს მწვრთნელმა და თავდამსმელმა ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვეს. თუ ფეხბურთელში გადახდილ თანხას გატანილი გოლების რაოდენობას შეეუფარდებთ, აღმოჩნდება, რომ 29 წლის მაკარტის თითო გოლი "ბლექბერნს" 100 ათასი გირვანქა დასჯდომია. შედარებისათვის, "ჩელსიმ" **ანდრეი შევჩენკოს** თითო გოლში 75-ჯერ მეტი, 7.5 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

ლილიდან ლიონში

"ლილმა" ორი წამყვანი ფეხბურთელი, **მატიო ბოდმერი** და **კადერ კეიტა** "ლიონს" მიჰყიდა. საფრანგეთის ჩემპიონებმა სოლიდური კომპენსაცია გადაიხადეს: კეიტა 18 მილიონი ევრო დაუჯდათ, ხოლო ბოდმერი – 6.5 მილიონი. ორივემ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის კეიტა კოტდივუარის ნაკრების თავდამსხმელია. მან გასულ სეზონში 36 სალიგო მატჩი ჩაატარა და ცხრა გოლი შეაგდო. 25 წლის ბოდმერს საფრანგეთის პირველი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ნახევარმცველად მიიჩნევენ.

სიტიმ დეშამს კონტრაქტი შესთავაზო

"მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელად, შეიძლება, **დიდიე დეშამი** დაინიშნოს. "სანის" ცნობით, ინგლისური კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **ალისტერ მაკინტოში** პარიზში გაემგზავრა. ის 38 წლის სპეციალისტს შეხვდა და სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. დეშამის კონკურენტებად **კო ადრიაანსე, მარკ ჰიუზი** და **კრის კოულმენი** განიხილებიან. "სიტის" გარშემო გაურკვევლი ვითარება შეიქმნა. კლუბის შეძენა ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრ **ტაქსინ შინავატრას** სურს, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ მის ანგარიშებს ყადაღა დაადეს, რის გამოც გარიგების სრულყოფა ვერ ხერხდება. საბანკო პრობლემები რომ არა, "სიტის" მწვრთნელიც დიდი ხნის დანიშნული იქნებოდა.

არსენალი: ორი ყმაწვილი სპორტინგიდან

"არსენალს" "სპორტინგის" ცენტრალური ნახევარმცველების, **ჟოაო მოუტინიოსა** და **მიგელ ველოსოს** შეძენა უნდა. ამ ინფორმაციას პორტუგალიური გაზეთები ავრცელებენ. **არსენ ვენგერის** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იმყოფებოდა. მისი უმთავრესი ამოცანა ამ ბიჭების თამაშის შესწავლა გახლდათ. ვენგერი, პირველ რიგში, ველოსოს ტრანსფერზე იზრუნებს. "მეთოფეებმა" უნდა იჩქარონ, რადგან ამ ბიჭს "მანჩესტერ იუნაიტედიც" ეკურკურება. მოსიე არსენის კიდევ ერთი სამიზნეა სარაგოსელი თავდამსხმელი **დიეგო მილიტო**. მილიტოს ტრანსფერი იმ შემთხვევაში გახდება აქტუალური, თუ **ტიერი ანრი** "ბარსელონას" მიაშურებს. არგენტინელ თავდამსხმელს "ლივერპულიც" აკვირდება.

იზმაილოვი, ახალი ნანი?

მოსკოვის "ლოკომოტივი" **მარატ იზმაილოვს** ლისაბონის "სპორტინგში" უშვებს. კლუბებმა ზეპირ შეთანხმებას მიაღწიეს. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, რუსი ნახევარმცველი ერთწლიან საიჯარო კონტრაქტს გააფორმებს. გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. იზმაილოვმა "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასული **ნანი** უნდა შეცვალოს. ხელშეკრულების თანახმად, გაისად პორტუგალიელებს ფეხბურთელის გამოსყიდვა შეეძლებათ.

პინკელი ვოლფსბურგში?

გერმანული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ვოლფსბურგი" **ანდრეას ჰინკელით** დაინტერესდა. როგორც იცით, 25 წლის მარჯვენა მცველი "სევილიის" საკუთრებაა, მაგრამ უეფას თასის მფლობელ გუნდში იმვიათად ათამაშებენ, რის გამოც ესპანეთიდან აბარგება და ისევ სამშობლოში დაბრუნება სურს. შეგახსენებთ, რომ "ვოლფსბურგს" **ფელიქს მაგათი** წვრთნის, კაცი, რომელიც "შტუტგარტში" სწორედ ჰინკელის დამრიგებელი იყო და რომელის მას დიდად აფასებს.

ნიურნბერგმა კუვერმანსი მოიკითხა

იმის გამო, რომ აეკის ფეხბურთელ **ნიკოს ლიბეროპულოსთან** მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, "ნიურნბერგის" ხელმძღვანელებმა აქცენტი სხვა თავდამსხმელზე გადაიტანეს. ჰოლანდიური გამოცემა "ნორდჰოლანდს დაგბადი" იტყობინება, რომ გერმანიის თასის მფლობელს "ალკმაარის" ფორვარდის, **შოთა არველაძის** მეწყვილე **დანი კუვერმანსის** გადაბირება სურს. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელით როტერდამის "ფეიენოორდიცაა" დაინტერესებული. 28 წლის თავდამსხმელმა ჰოლანდიის ჩემპიონატში 22 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა. საერთო ჯამში, 1.82 მეტრი სიმაღლის ფორვარდს, ერედივიზიონში 162 შეხვედრაში 102 გოლი აქვს გატანილი. "ალკმაართან" კონტრაქტი მას 2010 წლამდე აკავშირებს.

ერთი წლის შემდეგ...

ლემანის შპარგალკა ბონის მუზეუმში

ძაღლდის ნაგლეჯი, რომელიც აუქციონზე მილიონად გაიყიდა...

დღეს "არსენალისა" და გერმანიის ნაკრების მეკარე **იენს ლემანი** თავის სახელგანთქმულ "შპარგალკას" ბონის მუზეუმს ჩააბარებს. ვისაც არ ახსოვს, შეგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი წლის წინათ, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრაში, რომელშიც ერთმანეთს არგენტინისა და გერმანიის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ, თერთმეტმეტრიანების სერიის დროს ლემანი ხსენებულ ფურცელს იყენებდა, სადაც ზედმიწევნით ზუსტად ეწერა, თუ როგორ ასრულებდნენ პენალტებს არგენტინელი ფეხბურთელები. მატჩის წინ გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა **ანდრეას კიოპკემ** არგენტინელ მოთამაშეებზე ვიდეო მასალები მოიძია და ვისაც კი პენალტი ჰქონდა დარტყმული, ყოველი მათგანის შესრულების მანერა ფურცელზე გადაიტანა. ლემანმა სწორედ ამ "შპარგალკის" წყალობით შეძლო ორი თერთმეტმეტრიანის მოგერიება და გერმანია ნახევარფინალში გაიყვანა.

ეს ფურცელი უკვე ისტორიის საკუთრებაა და დღეიდან შესაფერის ადგილზე დაიდება - ბონის მუზეუმის ფოიეში, საპატიო ადგილს დაიკავებს. შეგახსენებთ, რომ ეს ფურცელი ცოტა ხნის წინათ ენერგოკონცერნმა EnBW-მ საქველმოქმედო აუქციონზე ერთ მილიონ ევროდ შეიძინა, რის შემდეგაც ბონის მუზეუმს არუქა...



ფრანც ბეკენბაუერი

ბაიერნი

ბეკენბაუერი: კლოზე ახლავე გადმოვა

კაიზერი დარწმუნებულია, რომ ვერდერი მიროს ვერ შეინარჩუნებს...

"ბაიერნსა" და "ვერდერს" შორის მოლაპარაკებები თითქოს დასრულებულია, მაგრამ მიუნხენელები არ ნებდებიან და **მიროსლავ კლოზესთვის** ბრძოლას აგრძელებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ხელში ჩასაგდებად გაჩაღებულ პოკერში ახლა უკვე "ბაიერნის" პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერიც** ჩაერთო. აი, რა განუცხადა კაიზერმა "პასაუერ ნოიენ პრესეს": *"პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ "ვერდერმა" კიდევ ერთი წლით შეინარჩუნოს ფეხბურთელი, რომელიც გაისად ისედაც გუნდიდან წავა და თანაც უფასოდ. ეს როგორ უნდა მოხდეს? რატომ? განა ბრემენელებს არ ურჩევნიათ, რომ კლოზე ახლავე მოგვყიდონ და ფული აიღონ, ვიდრე შეინარჩუნონ უკმაყოფილო ფეხბურთელი, რომელსაც წასვლა უნდა. ერთი სიტყვით, პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ მირო "ბაიერნში" ახლავე გადმოვა."*

არადა, როგორც იცით, "ვერდერის" გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** წინა კვირაში მოლაპარაკებები დასრულებულად გამოაცხადა - 14 დღის განმავლობაში მიუნხენიდან აღარავინ დაგვკავშირებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავარიელებს მირო აღარ სურთო. მანამდე კი, რეკორდმაისტერმა ბრემენულ კლუბს 10 მილიონი ევრო შესთავაზა, "მუსიკოსები" 15 მილიონს ან კლოზეს **ლუკას პოდოლსკიში** გაცვლას ითხოვენ.

"კლოზე უკვე ბრემენულმა პუბლიკამაც აითვალწუნა. მოკლედ, მე ვფიქრობ, რომ ბოსები კონსენსუსს ახლავე მიაღწევენ. ორივე მხარისთვის ასე აჯობებს და რაც მთავარია, ასე აჯობებს თვითონ ფეხბურთელისთვისაც," - ამბობს ბეკენბაუერი. ხსენებულ ინტერვიუში მას **რიო მაკაის** შესახებაც ჰკითხეს, რაზეც კაიზერმა ასეთი პასუხი გასცა: *"თუ მირო გადმოვა, მაკაი დაგვტოვებს - ეს თითქმის გადაწყვეტილია. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ კლოზეს ტრანსფერზე ვართ კონცენტრირებულები. მთავარია, რომ მირო ვიყიდოთ."*

მენეჯერ **ული ჰაინესისა** და ვიცეპრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** მიერ გაჩარხული ტრანსფერებით (**ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი**) ბეკენბაუერი უაღრესად კმაყოფილია: *"ვულოცავ ჩვენს სამეთვალყურეო საბჭოს - ულიმ და კალემ უდიდესი სამუშაო გასწიეს და გადმოიბირეს ფეხბურთელები, რომლებიც "ბაიერნს" ძალიან გაძლიერებენ. 53 მილიონი ევრო უკვე დავხარჯეთ და უმაღლესი კლასის ოსტატები შევიძინეთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გაისად აუცილებლად ჩემპიონები გავხდებით, თანაც დიდი უპირატესობით,"* - კაიზერი მიიჩნევს, რომ ეს ჰიტცფელდის მარიფათზეა დამოკიდებული.

შვაინის ოპერაცია ემუქრება

ბასტიანს ზუსტი დიაგნოზი ჯერ ვერ დაუსვეს

ერთი წლის წინათ **ბასტიან შვაინშტაიგერი** მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო, რადგან მუნდიალზე შესანიშნავად თამაშობდა და მთელი გერმანიის საყვარელი ფეხბურთელი გახდა. დღეს კი, "ბაიერნის" 22 წლის ნახევარმცველმა ისიც კი არ იცის, როდის ითამაშებს ფეხბურთს. უკანასკნელი ინფორმაციით, შვაინის მუხლის ოპერაცია ემუქრება.

შვაინშტაიგერმა უკანასკნელი მატჩი 7 აპრილს, ჰანოვერში ჩაატარა და იმ შეხვედრაში რეკორდმაისტერს მოაგებინა (2:1), გაიტანა რა გადამწყვეტი გოლი. მატჩის შემდეგ კი მუხლი ასტკივდა, თანაც იმდენად ძლიერად, რომ მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. პირველი დიაგნოზი ასეთი გახლდათ: შვაინის ობობის ნაკბენი გაუმიზეზდა და დიდი შანსია, რომ ეს ბორელიით გამოწვეული ინფექცია იყოს. თვითონ ფეხბურთელმაც გაიხსენა, ორი წლის წინათ ობობამ მართლაც მიკბინაო. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, არის თუ არა შვაინის ტკივილები ამ ნაკბენის მიზეზი. "კიკერის" ცნობით, ბასტიანს ბაქტერიული დაავადება აქვს!

ბასტიან შვაინშტაიგერი

7 აპრილის შემდეგ შვაინის სრული დატვირთვით არ უვარჯიშია. პარასკევის შემდეგ მსუბუქად კი ვარჯიშობს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფეხბურთელს ოპერაცია დასჭირდება, რათა ზუსტად დადგინდეს, რა სჭირს მის მარცხენა მუხლს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ტევესი: ვესტ ჰემი თუ რეალი?

კარლოს ტევესის მომავალი ისევ ბურუსითაა მოცული. ინგლისური საგენტოები არ გამორიცხავენ, ის ვესტ ჰემში დარჩეს. ესპანელ მიმომხილველებს კი უფრო სარწმუნოდ ეჩვენებათ ტევესის "რეალში" გადასვლა. კარლოსის აგენტმა **ადრიან რუოჩომ** დაადასტურა, რომ რამდენიმე დღის წინათ მადრიდელ ემისრებს ესაუბრა: *"კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მოუმართავთ. თუ "რეალი" თანამშრომლობაზე უარს იტყვის, სხვა სარფიან შეთავაზებებს განვიხილავთ."*

ამის საპასუხოდ, "ნიუს ოფ ზე უორლდში" ვკითხულობთ, რომ "ვესტ ჰემის" თავმჯდომარე **ეგერტ მაგნუსონმა** მტკიცედ გადაწყვიტა ტევესის შენარჩუნება. "ჩაქუჩები" "ჩარლტონისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდ **დარენ ბენტს** ყიდულობდნენ, მაგრამ 17-მილიონიანი ტრანსფერი მოულოდნელად ჩაიშალა. არგენტინელ ვარსკვლავს ახალი კონტრაქტი და გასულ სეზონზე ბევრად უკეთესი პირობები შესთავაზეს. ტევესს ფინანსური პირობები ძალიან მოეწონა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებამდე მოსაფიქრებლად მაინც რამდენიმე დღე მოითხოვა. როგორც ჩანს, ის "რეალთან" ურთიერთობის გარკვევას ელოდება.



ხავიერ სავიოლა

მოსალოდნელი ტრანსფერი

სავიოლა ბარსელონიდან სარაგოსაში?

ხავიერ სავიოლა "ბარსელონას" ემშვიდობება. ბოლო წუთს არგენტინელ თავდამსხმელს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. მან დარჩენა არ ისურვა. ხავიერი მიიჩნევს, რომ კლუბისაგან უკეთეს მოპყრობას იმსახურებდა: *"არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეტყობა, ჰქონდათ მიზეზი, ასე მომქცეოდნენ. რა გაეწყობა? "ბარსელონიდან" სუფთა სინდისით მივდივარ. ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებდი. კონფლიქტი არავისთან მქონია, მაგრამ გუნდს მაინც გულნატკენი ვტოვებ."* **ფრანკ რიიკაარდმა** სავიოლა "ესპანიოლთან" ბოლო საშინაო შეხვედრაში არ ათამაშა. ფეხბურთელს ქომაგებთან დამშვიდობების საშუალება არ მიეცა. ის "ბარსაში" 2001 წელს "რივერ პლეიტიდან" 28 მილიონ დოლარად გადავიდა. 2003 წელს კლუბში რიიკაარდი მივიდა. ხავიერი ძირითადიდან მაშინვე ამოვარდა. 2004 წლის ზაფხულში ის "მონაკოში" გაუშვეს, 2005-ში – "სევილიაში". გასულ ზაფხულს, უეფას თასის მოგების შემდეგ, სავიოლა "ბარსელონაში" დაბრუნდა. წელს კი ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. სპეკულაციების თანახმად, მას "სარაგოსა" ეპატიჟება. ტრანსფერის ინიციატორია არაგონელთა თავკაცი **ვიქტორ ფერნანდესი**. სარაგოსელებს ფეხბურთელი ერთი ცენტიც კი არ უჯდებათ. ამიტომ საშუალება აქვთ, ოთხწლიანი კონტრაქტი და წლიურად 2.3 მილიონი ევრო შესთავაზონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგია. 2006-07 წლების სეზონი

იასამნისფერი სეზონი

ანდერლეხტმა დაკარგულის დაბრუნება მოახერხა

ისევე, როგორც ერთი წლის წინათ, ბელგიის ჩემპიონი ბრიუსელის "ანდერლეხტი" გახდა. მან თავისი 29-ე ტიტული ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაიფორმა, როცა მეორე დედაქალაქური კლუბი - "ბრიუსელი" გაანადგურა. ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტმა - "გენკმა" კი, შინ წააგო შარლერუელ "ზებრებთან" და მოკრძალებული ორქულიანი სხვაობა დიდ უფსკრულად გადაიქცა.

"გენკმა" ჩემპიონატი შესანიშნავად დაიწყო და კლუბის ისტორიაში საუკეთესო სტარტი გამოაცხო: 12 მატჩში 32 ქულა. მერვე ტურში **უგო ბროოსის** შეგირდებმა ბრიუსელის "კონსტან ვანდენ სტოკზე" ბეჭებზე დასცეს "ანდერლეხტი" - 4:1. "გენკის" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა რაღაც მომენტში ირწმუნეს, რომ მათ ვეღარ დაეწეოდნენ. "შარლერუასთან" 1:4 წაგებამაც ვერ გამოიყვანა ისინი ეიფორიული მდგომარეობიდან. პრობლემებმა ზამთარში იჩინეს თავი. მიზანი გაუცუდდა **კევინ ვანდენბერგს**. მეკარე **ლოგან ბაის** თავბრუ დაეხვა ლეგენდარულ **ჟან-მარი პფაფთან** ხშირი შედარებების გამო, ამას კი, მისი მხრიდან გაუმართლებელი მოქმედებები მოჰყვა - ცდილობდა ერთი ხელით დაეჭირა ბურთი, კარიდანაც ხშირად გაუმართლებლად შორს გადიოდა და ლიბეროს პოზიციაზე მოქმედებდა. დაიღალნენ **პოკონიოლი, შატელი, კალე** და სასტარტო გაქცევის სხვა გმირები. ყველაფერმა ამან ქულების დაკარგვა გამოიწვია.

ბრიუსელში შერცხვენილი "ანდერლეხტი" არც ისე შორს იმყოფებოდა და თავიდან დაეწია, შემდეგ კი გაასწრო კონკურენტს. თავი იჩინა "იასამნისფერთა" გამოცდილებამ და უკეთ დაკომპლექტებულმა შემადგენლობამ. "ჰამბურგში" **ვენსან კომპანის** გაშვების შემდეგ, დაცვის ცენტრში წარმოქმნილი ხვრელი საკმაოდ სწრაფად ამოავსეს. ამასთან, "ანდერლეხტის" მთავარი მწვრთნელი - **ფრენკი ვერკოტერენი** იმ პრინციპის მიმდევარია, რომ საუკეთესო დაცვა - შეტევაა. "იასამნისფერთა" წინა ხაზი კი, ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით ფინიშზე, როცა **ნიკოს ფრუტოსსა** და **მუჰამედ ჩიტეს,** მანამდე არაფრით გამორჩეული ფორვარდები - **მუბარაკ ბუსუფა** და **დიომერსი მბუკანი** წამოეხმარნენ.

მაგრამ "ანდერლეხტის" გამარჯვებას მეორე მხარეც აქვს. დასრულდა თუ არა ჩემპიონატი, ბრიუსელს სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლები მიაწყდნენ. ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბს სურს თავის რიგებში იხილოს ფრუტოსი, ვანდენ ბორემ უკვე გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება "ფიორენტინასთან", ჩიტესაც რამდენიმე მაცდუნებელი წინადადებით მიმართეს. ასე რომ, როგორი იქნება 2007-08 წლებში "ანდერლეხტი"; ეს თავად ამ კლუბის მესვეურებმაც არ იციან.

"გენკი" ჯერჯერობით, თავიდან იცილებს ყველა მყიდველს: როგორც ჩანს, ამჟამინდელ პრეზიდენტ **ჰარი ლემენსს** კარგად ახსოვს თავისი წინამორბედის - **იოს ვესენის** ბედი, რომელიც თანამდებობიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ "სტანდარდში" ნახევარმცველი **სტეფან დეფური** გაყიდა. ახლა, "გენკში" არა შვიდჯერ, არამედ 27-ჯერ გაზომავენ, სანამ ვინმეს გაყიდვის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

დეფური კი, "სტანდარდს" ძალიან გამოადგა და ის ამ გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდა. "წითლებს" თამამად შეუძლიათ ეს სეზონი თავიანთ აქტივში ჩაიწერონ - მესამე ადგილი და თასის ფინალში გასვლა. და ეს ყველაფერი ჩაგდებული სტარტის შემდეგ! "სტანდარდმა" პირველ გამარჯვებას მხოლოდ მეხუთე ტურში მიაღწია, თანაც ამისთვის მწვრთნელის შეცვლა გახდა საჭირო: **იოჰან ბოსკამპის** ადგილი წარსულში ბელგიის ნაკრების, "ბენფიკას", "სტანდარდისა" და "მეხელენის" მეკარემ - **მიშელ პრიუდომმა** დაიკავა. მომავალ სეზონში, "წითლები" ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებენ. ამჯერად, მათი ამბიციები იმით არის გამყარებული, რომ ლიეჟში მართლაც ბრძოლისუნარიანი გუნდი შეიქმნა. პორტუგალიელი ვეტერანი და კაპიტანი - **სერჟიო კონსეისაო** წასვლას არ აპირებს, დეფურს პროგრესის ყველანაირი წინაპირობა გააჩნია - ყოველ შემთხვევაში, **ვინჩენცო შიფოს** შემთხვევით არავის ადარებენ.

ფრენკი ვერკოტერენი ცაში აიყვანეს

რადგან შიფო ვახსენეთ, ღირს გავიხსენოთ გუნდი, სადაც ბელგიის ნაკრების ეს ლეგენდარული ნახევარმცველი ფეხბურთელისა და შემდეგ მწვრთნელის კარიერას იწყებდა. "შარლერუა", როგორც წესი, ყოველთვის საშუალო დონის გუნდად ითვლებოდა, მაგრამ წლეულს, ის საკმაოდ სიმპათიურ კოლექტივად მოგვევლინა. "ზებრებმა" ორჯერ დაამარცხეს "გენკი", რითაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საჩემპიონო რბოლის საბოლოო შედეგზე; დაიკავეს მეხუთე ადგილი და მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩნენ "გენტს". მართალია, ამის გამო "შარლერუა" ევროთასების მიღმა დარჩა, მაგრამ კლუბის მფლობელი და პრეზიდენტი, ირანელი ბიზნესმენი - **აბას ბაიათი** თვლის, რომ "ზებრები" მომავალ სეზონში აუცილებლად გაისვრიან.

ღარიბ "შარლერუას" მეპატრონის მხრივ გაუმართლა - ირანელმა კლუბი გაკოტრებას გადაარჩინა. თითქოს ანალოგიური პერსპექტივები უნდა ჰქონოდა კიდევ ერთ ბელგიურ კლუბს - "მუსკრონს", რომლის შეძენასაც აპირებდა ბიზნესმენი **რაჰათ ალიევი** - ყაზახეთის პრეზიდენტ **ნურსულთან ნაზარბაევის** სიძე. გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა და არა გვგონია, მუსკრონელები ამის გამო დიდად ნაღვლობდნენ. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინათ, ალიევზე ძებნა გამოაცხადა ინტერპოლმა. ასე რომ, სჯობს ისევ ღარიბად დარჩე, ვიდრე ძებნაში მყოფი ბიზნესმენის კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების სიაში აღმოჩნდე.

ციურიხი ჩემპიონობას ზეიმობს

შვეიცარია. 2006-07 წლების სეზონი

რბოლა გამოდევნებით

მრისხანე ბაზელი მეორედ ჩამორჩა ციურიხს

ისევე, როგორც შვეიცარიის წინა პირველობაზე, ამჯერადაც ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა, მაგრამ ის კვლავ "ციურიხის" საკუთრება გახდა. იმ განსხვავებით, რომ ევროპის საბანკო დედაქალაქის კლუბმა "ბაზელს" ერთი ქულით გაუსწრო, იმ დროს, როცა 2005-06 წლების სეზონში, მან წითელ-ლურჯებთან უპირატესობას ბურთების სხვაობით მიაღწია.

ამჯერად, საუკეთესო სხვაობა "ბაზელს" ჰქონდა, მანვე ურთიერთშეხვედრებშიც აჯობა ძირითად კონკურენტს (ოთხიდან სამი შეხვედრა მოუგო "ციურიხს"), მაგრამ **კრისტიან გროსის** შეგირდებს სულ მცირედი დააკლდათ ჩემპიონობის მოსაპოვებლად. "ციურიხმა" პირველივე ტურიდან ხელთ იგდო ლიდერობა და ის ფინიშამდე აღარ დაუთმია. იყო მომენტები, რომ ქულათა სხვაობა მინიმუმამდე დადიოდა და ისე ჩანდა, რომ "ბაზელი" წინაც გავიდოდა. მაგრამ მომდევნო ტურში ეს გუნდი ქულებს კარგავდა, ხოლო კონკურენტი მორიგ სამ ქულას იწერდა აქტივში. ასეთი რამ, მთელი მარათონული დისტანციის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა. აი ასე, უფრო ძლიერი და ცნობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული "ბაზელი" კვლავ მეორე დარჩა, "ციურიხი" კი, ზედიზედ მეორედ, სულ კი, თავის ისტორიაში მეთერთმეტედ გახდა ალპიური რესპუბლიკის საუკეთესო კლუბი.

უნდა აღინიშოს, რომ მთავარი მწვრთნელის **ლუსიენ ფავრის** განკარგულებაში არ ყოფილან მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები. "ციურიხის" შემადგენლობაში სახელისა და გვარის მიხედვით, მხოლოდ ტუნისის ნაკრების თავდამსხმელი **ფრანსელიოდუ დოს სანტოსი** გამოირჩეოდა. მაგრამ, ნატურალიზირებული ბრაზილიელი გუნდში მხოლოდ იანვარში მივიდა, როცა ის ფრანგული "ტულუზიდან" არენდით აიყვანეს. მთავარ დამრტყმელ ძალად კი, მეორე ბრაზილიელი - **რაფაელ დე არაუჟო** იქცა, რომელმაც თავის აქტივში 13 გოლი ჩაიწერა.

გაისად, "ციურიხს" წესით უნდა გაუჭირდეს. მოსალოდნელია დე არაუჟოს წასვლა. სანამ მისი საკითხი გაირკვევა, გუნდი უკვე დატოვა მთავარმა მწვრთნელმა - ლუსიენ ფავრმა. 49 წლის სპეციალისტმა კონტრაქტი გააფორმა ბერლინის "ჰერტასთან" და ჯერჯერობით, "ციურიხის" შეფობა ახალ მწვრთნელს ეძებს.

სამაგიეროდ, "ბაზელის" დამრიგებელი კრისტიან გროსი იმავე გერმანიაში გადაბარგებას არ ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ იქ მის კანდიდატურას ბევრი კლუბი განიხილავს. "ბაზელისადმი" გროსის ამგვარი ერთგულების ორი ვერსია არსებობს. ჯერ ერთი, ამ მწვრთნელს საზღვარგარეთ მუშაობის ნეგატიური გამოცდილება გააჩნია: "ტოტენჰემში" გატარებული ცხრა თვე, მისი სამწვრთნელო კარიერის აქტივში შესატანი ნამდვილად არ არის. მეორე ვერსია უფრო რომანტიკულია: გროსი კლუბის პრეზიდენტს **გიზელა ერის** დაპირდა, რომ "ბაზელს" შვეიცარიაში პირველობას დაუბრუნებდა და მას, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, ქალბატონისთვის ოდესაც მიცემული სიტყვის შესრულება სურს. შვეიცარიის თასი კომპენსაციისთვის არ გამოდგება, მხოლოდ "ოქრო". ასე რომ, გერმანია მოიცდის...

ავსტრია. 2006-07 წლების სეზონი

დიდი უპირატესობით

ზალცბურგს პროვინციალი კონკურენტები ჰყავდა

ავსტრიის ბუნდესლიგის გამარჯვებულის პროგნოზირება ძალიან იოლი იყო. ზალცბურგის "რედ ბული" ფინანსური თვალსაზრისითაც პირველი იყო ქვეყანაში და დანარჩენ ცხრა გუნდზეც უკეთესი შემადგენლობა ჰყავდა, ხოლო მთავარ მწვრთნელ **ჯოვანი ტრაპატონის** ცოტა ვინმე თუ შეედრება. პროგნოზები გამართლდა: "ზალცბურგმა" აშკარა უპირატესობით მოიგო ჩემპიონატი.

"რედ ბულმა" თავის ოპონენტებს ყველა კომპონენტში აჯობა - გამარჯვებების რაოდენობით, გატანილი გოლებითა და ისეთი სუბიექტური მაჩვენებლით, რასაც თამაშის ხარისხი ჰქვია. მიმომხილველები "ხარებს" საკმაოდ ხშირად მინი-"ბავარიას" უწოდებდნენ და ეს არ ყოფილა საფუძველს მოკლებული შედარება. **ჯოვანი ტრაპატონიმ** და მისმა თანაშემწემ - **ლოთარ მათეუსმა** თავიანთ მიზნად ზალცბურგში ლეგენდარული გერმანული კლუბის მსგავსი კოლექტივის შექმნა დაისახეს. მართალია, იქ "ბაიერნის" მხოლოდ ორი ყოფილი ფეხბურთელი თამაშობს - **ნიკო კოვაჩი** და **ალექსანდრ ციკლერი** (გარდა ამისა, ბავარიელთა რიგებს შეიძლება მივაკუთვნოთ მეკარე ტიმო ოხსი "მიუნხენ 1860"-დან), მაგრამ მთავარია პიარი. ავსტრიაში "რედ ბული" სუპერკლუბად და მრავალწლიან ლიდერად ითვლება, ანუ მას იმავე ნიშას აკუთვნებენ, როგორიც "ბავარიას" აქვს მეზობელ ქვეყანაში.

გარდა ყველაფრისა, "წითელი ხარების" ტრიუმფი კონკურენტების აშკარა სისუსტითაც იყო განპირობებული. ავსტრიის ორმა ყველაზე სახელოვანმა კლუბმა - დედაქალაქურმა "აუსტრიამ" და "რაპიდმა" უბრალოდ, ჩააგდეს სტარტი და არა საჩემპიონო ტიტულზე, არამედ იმაზე ფიქრობდნენ, რომ როგორმე სწრაფად ამოსულიყვნენ ცხრილის ქვემოდან. ამიტომაც, "რედ ბულს" ბრძოლა მოკრძალებულმა პროვინციალებმა - "მატერსბურგმა" და "რიდმა" გაუმართა. და, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდა, მაგრამ ამ დუეტისთვის სეზონი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

ვენის "აუსტრიას" მეექვსე ადგილამდე დაქვეითება რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას, მათ შორის ბუნებრივი კატაკლიზმებითაც. ქარიშხალმა "კატრინამ", რომელმაც 2005 წლის შემოდგომაზე ნიუ ორლეანს გადაუარა, დიდი ნაგება მოუტანა "აუსტრიას" მფლობელს, ავსტრო-კანადელ ბიზნესმენ **ფრანკ სტრონახს** და მას კლუბისთვის დაფინანსების შემცირება მოუწია. გუნდი დატოვა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა, ხოლო როცა გამოუცდელმა მწვრთნელმა **ფრანკი შინკელსმა** ვერ გაამართლა, მას სასწრაფოდ მოუძებნეს შემცვლელი **გეორგ ცელჰოფერის** სახით, მიუხედავად იმისა, რომ ის, თავის მხრივ, "რაპიდში" ცუდი მუშაობისთვის გააგდეს. გულშემატკივრები ახალ მწვრთნელზე კარგა ხანი იბზეებდნენ ცხვირს, მაგრამ ცელჰოფერმა შეძლო სიტუაციის გამოსწორება და "იასამნისფერებს" თასი მოაპოვებინა.

აუტსაიდერის ბედი კი, არა საფეხბურთო მოედანზე, არამედ ჩინოვნიკთა კაბინეტებში გადაწყდა. ორივე გრაცის წარმომადგენელია - "შტურმი" და "გრაცერი". ისინი ბანკროტებად გამოაცხადეს და შესაბამისად, 13 და 28 ქულა ჩამოაკლეს. ამგვარმა ტვირთმა "გრაცერი" ფსკერზე ჩაითრია.



ჯოვანი ტრაპატონი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝ

ბენეტონი იტალიის ჩემპიონობას ზეიმობს

ᲑᲝᲘᲡᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ სერია A-ს 2006-07 წლების სეზონი ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ", ჯერ რეგულარული პირველობა 30 მოგებით დაასრულა, შემდეგ ფლეი ოფიც ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და პირველი ორის მსგავსად, ფინალური სერიის მესამე მატჩშიც იოლად გაუსწორდა ბოლონიის "ვიდივიჩის" - 90:82.

ასე რომ, ისევე როგორც უმცროსი ძმის, **ანატოლი ბოისას** "აზოტმა" ფინალური სერია "მონტეპასკიმაც" მშრალად მოიგო - 3:0. სიენელებმა ბოლონიაში მოახერხეს "ვიდივიჩის" დიდი სხვაობით დამარცხება (86:65) და რა გასაკვირია, შინაურ კედლებშიც იგივე გაემეორებინათ. ღღონდ ამჯერად "მონტეპასკის" ვლადიმერ ბოისას გარეშე მოუწია თამაში - მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** მისი მოედანზე შეყვანა მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

ასეა თუ ისე, ვოვა მესამე ქართველია, ვისაც იტალიის სერია A აქვს მოგებული - **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **კახა კალაძის** შემდეგ. მარკოიშვილმა იტალიის პირველობა 2002-03 წლების სეზონში "ბენეტონთან" ერთად მოიგო.

გუშინ იტალიის მესამე ქართველ ჩემპიონ ვლადიმერ ბოისას დავუკავშირდით და წარმატება მივულოცეთ.

- ძალიან ძლიერი გუნდი გყოლიათ...

- ეს ჩვენმა შედეგებმაც აჩვენა. ფინალურ სერიას 3:0-ზე ვერ მოიგებ, თუ მეტოქეს საგრძნობლად არ სჯობიხარ. წელს "მონტეპასკი" იტალიის საუკეთესო გუნდი იყო, რეკორდს რეკორდზე ვამყარებდით. ჯერ ერთი, რეგულარულ ჩემპიონატში რეკორდული რაოდენობის მატჩები მოვიგეთ. მანამდე, 30 შეხვედრაში გამარჯვება არავის ჰქონია. მეორე, რეგულარულში პირველ და მეორეადგილოსნებს შორის სხვაობა 8 მოგება იყო (ჩვენ 30 შეხვედრაში ვიმარჯვეთ, "ვიდივიჩიმ" - 22-ში), ესეც მანამდე არნახული შედეგი გახლდათ. მოკლედ, ჩვენგან ყველა ჩემპიონობას ელოდა და პირველობა დამსახურებულადაც მოვიპოვეთ.

- ბოლო მატჩში მონაწილეობა არ მიგიღია...

- მთავარი ეს არ არის, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ჩემპიონობა მოვიპოვეთ. გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა და ახლა ნამდვილად არ ღირს იმის თვლა, ვინ ცოტა ითამაშა, ვინ - ბევრი და ვინ მოედანზე არ გასულა.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ — ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ



მამუკა მჭავანაძე

ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲚᲘᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘᲗ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ეროვნულ ჩემპიონატში კარგა ხანია, არ გვახსოვს ისეთი დაძაბულობა, როგორიც წლეულს იყო. ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ "თბილისი", რომელმაც ქვეყნის აწ უკვე 17-გზის ჩემპიონ სტუ-"თელავს" მთელი სეზონი პრობლემები არ მოაკლო და კინაღამ ჩამოართვა ჩამპიონობა.

მართალია, სეზონის დასრულების შემდეგ, "თბილისს" რამდენიმე ხელბურთელი დატოვებს, მაგრამ გუნდის მწვრთნელ მამუკა მჭავანაძის თქმით, გაისად არანაკლებ ძლიერი გუნდი ეყოლება.

- თუ არ ჩავთვლით ფინალური სერიის ნაგებას, წლევანდელი სეზონით კმაყოფილი ვარ. მთელი წელიწადი პროგრესის გზას ვადექით, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით და სულ ცოტა დაგვაკლდა ჩემპიონობამდე.

- ახალ სეზონში, რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ შემადგენლობაში?

- რამდენიმე ხელბურთელმა კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება მოისურვა და ხელი არ შემიშლია. კონკრეტულად, ახლახან, თურქეთში გავუშვით მეკარე გაგა სეთურიძე, ლევან ოსიყმაშვილი, შოთა გრიშიკაშვილი და გიორგი ნატროშვილი. ისინი გასინჯეს მეორე ლიგაში მოასპარეზე "ართვინში". თურქეთის უმაღლესი ლიგის შემდეგ, რეგიონების მიხედვით დაყოფილი ხუთი ლიგა მოდის და ეს გუნდი აქედან ერთ-ერთში თამაშობდა. წლეულს, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, სამი ქულა დააკლდათ და ამის შემდეგ, რამდენიმე ლიდერი გაუშვეს. ჩვენი ხელბურთელები სწორედ მათ შემცვლელებად უნდათ. ავარჯიშეს, საკონტროლო მატჩში ათამაშეს და მოეწონათ. 80-90 პროცენტით გადანყვეტილია, რომ დაიტოვებენ.

რაც შეეხება დანამატს, ჩვენს მეორე კლუბ "იმედიდან" გადმოგვყავს ყველაშვილი, მაისურაძე, ულენტი, და მეკარე გონჩაროვი. ამას გარდა, "ქარიშხალადან" ვიმატებთ გარემარბ ირაკლი ტორონჯაძეს.

- აზერბაიჯანელი ელდარ ფარაჯევი აღარ დაგიბრუნდებათ?

- ფარაჯევი საკმაოდ კარგი ხელბურთელია, მაგრამ ცოტა ადრე რომ ჩამოსულიყო და გუნდთან ხეირიანად შეთამაშება მოესწრო, ფინალში უფრო დიდ დახმარებას გაგვიწევდა. მისი შენარჩუნება ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მოვახერხებთ, რადგან ესპანეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

- ფაქტობრივად, "იმედის" ყველა ლიდერი გადმოგყავთ. რა ბედი ელის მომავალ სეზონში ამ გუნდს?

- ვნახოთ, თუკი "იმედი" ძალიან არ დასუსტდება, ხომ კარგი, თუ არადა, ალბათ ყველა მოთამაშეს გავუშვებთ და ფარმკლუბის ნაცვლად, ბავშვთა გუნდზე გავაკეთებთ აქცენტს. შესაბამისად, გვეყოლება მხოლოდ "თბილისი" და ბავშვთა კლუბი.

- ევროთასებზე რა გეგმები გაქვთ?

- ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა დონის მეტოქე შეგვხვდება. თუკი ისეთ გუნდს დავუპირისპირდებით, რომლის დამარცხებაც რეალური იქნება, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პირველი ეტაპი გადავლახოთ. ასეთ შემთხვევაში, დაგეგმილი გვაქვს ერთ-ერთი ჩვენი ლეგიონერის დამატება. ამას გარდა, საშინაო მატჩსაც საქართველოში ჩავატარებთ. რაკიღა თბილისში თანამედროვე სტანდარტებს მხოლოდ სპორტის სასახლე შეესაბამება და მისი დაქირავებაც გვარიანად ძვირია, ევროთასების მატჩს ან ქუთაისში გავმართავთ, ან ფოთში. ამ ქალაქებში მალე დამთავრდება ახალი დარბაზების მშენებლობა და თუკი ისინი სტანდარტულები იქნება, რომელიმეს ამოვარჩევთ. ეს ჩვენი გუნდისთვისაც მომგებიანი იქნება და რეგიონშიც ხელს შეუწყობს ხელბურთის პოპულარიზაციას.

- ახალი სეზონისთვის როგორ მოემზადებით?

- გუნდი 5 ივლისს შეიკრიბება და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სეზონზულად მოვემზადებით ახალი სეზონისთვის. ჯერ ურეკში გავივლით შეკრებას, მერე დავბრუნდებით თბილისში და რამდენიმე დღეში, ართვინში გავემგზავრებით, სადაც შეკრებასა და რამდენიმე საკონტროლო მატჩს გავმართავთ. ამას გარდა, მიწვეულები ვართ ნორვეგიის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ოთხი ადგილობრივი და ორი დანიური კლუბი თამაშობს. თუკი საშუალება გვექნება, სკანდინავიური ტურნირზე აუცილებლად წავალთ. თვის ბოლოს, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის რანგში, ნორვეგიაში მივდივარ და იქ საბოლოოდ გადაწყდება ყველაფერი.

ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲣᲑᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ IV ᲢᲣᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ

18:30. ᲚᲔᲚᲝ-ᲐᲠᲛᲐᲖᲘ ᲕᲐᲙᲔ

ᲮᲕᲐᲚ

17:00 ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ-ᲧᲝᲩᲘᲔᲑᲘ ᲕᲐᲙᲔ

19:00 ᲚᲝᲯᲘᲡᲢᲘᲙᲘ-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲕᲐᲙᲔ

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ

ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ მძლეოსნობის მანეჟში დასრულდა ახალგაზრდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ, ამ შეჯიბრებას შარშან ჩაუყარა საფუძველი და მის ტრადიციულ ტურნირად ქცევას აპირებს. შემდეგ წლებში, როდესაც ფარიკაობის ფედერაციას უფრო მეტი ფინანსური საშუალება ექნება და ახალ დარბაზსაც ჩაიბარებს, ტურნირი უფრო სოლიდური გახდება.

წლეულს, გვესტუმრნენ სომხები, აზერბაიჯანელები და ირანელები. ელოდებოდნენ თურქებსაც, მაგრამ მათ თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს.

მთლიანობაში, ტურნირმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. ჩვენმა მოფარიკავეებმა, ჯამში მოიპოვეს 4 ოქროს, ერთი ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი. ყველაზე უკეთ გამოვიდნენ დაშნით მოფარიკავე გოგონები და ვაჟები, რაპირისტი გოგონები და მოხმალავე ვაჟები.

შეჯიბრების დასასრულ, გავესაუბრეთ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს მორის სახვაძეს.

- საერთაშორისო ტურნირს ზედიზედ მეორედ ვატარებთ და როგორც დაგპირდით, იგი ტრადიციული გახდება. წლევანდელი ტურნირით კმაყოფილი ვარ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ოთხი ჩემპიონი სხვადასხვა რეგიონიდან იყო – ორი ქუთაისიდან, ერთი – თბილისიდან, ერთი კი აჭარიდან.

წლეულს, ჩვენი უმთავრესი ღონისძიებებია 1-7 ივლისს, ბულგარეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატი და მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც სექტემბრის ბოლოს დაიწყება სანკტ-პეტერბურგში. როგორც იცით, საქართველოს მოქალაქეობა მივეცით ამერიკაში მცხოვრებ **მიხეილ მომცელიძეს** და ვიმედოვნებთ, რომ იგი პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას შეძლებს. სხვათა შორის, მომცელიძის მამა იური გუბერმანი, საქართველოში ცხოვრებისას, ხელბურთელი იყო. მისი ვაჟი დედის გვარზეა. მიხეილ მომცელიძე ჯერ ევროპის ჩემპიონატზე გამოვა, ხოლო სექტემბერში საქართველოს ნაკრებში ექნება დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატზე.

რაც შეეხება პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებებს, ასეთი ტურნირი საკმაოდ ბევრი ტარდება. საბოლოოდ, თუ მოფარიკავემ იასპარეზა, ვთქვათ, 10-15 ტურნირზე, სალიცენზიო რეიტინგში ეთვლება მხოლოდ ექვსი უძლიერესი შეჯიბრების შედეგები. ცალკე ლიზენზიებს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიც არ იძლევა. ჩვენი მწირი ფინანსური საშუალება ამდენ ტურნირზე სიარულის საშუალებას არ გვაძლევს. ამიტომაც, პეკინის საგზურების მოპოვებას ვგეგმავთ 2008 წლის მაისში. აპრილში, სალიცენზიო ტურნირები მთავრდება და მაისში, თამაშდება დარჩენილი საგზურები, რომლებსაც მხოლოდ ის ქვეყნები გაინაწილებენ, რომლებსაც ლიცენზია არ აქვთ. რასაკვირველია, მიზნის მიღწევა იქ უფრო ადვილი იქნება.

ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲨᲜᲐ (ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ)

1. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
2. ᲡᲐᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲯᲘᲜᲐ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ)
3. ᲜᲐᲗᲘᲐ ᲩᲐᲩᲘᲐᲜᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
3. ᲐᲜᲐ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)

ᲓᲐᲨᲜᲐ (ᲕᲐᲟᲔᲑᲘ)

1. ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
2. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ᲡᲝᲩᲘ)
3. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
4. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲕᲬᲘᲫᲘᲐ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)

ᲠᲐ�პᲘᲠᲐ (ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ)

1. ᲛᲐᲯᲚᲔ ᲛᲝᲜᲢᲐᲖᲔᲠᲐᲜᲘ (ᲘᲠᲐᲜᲘ)
2. ᲜᲐᲢᲝ ᲙᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
3. ᲪᲘᲜᲘ ᲮᲐᲠᲮᲔᲚᲐᲣᲠᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
3. ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲬᲘᲠᲥᲕᲐᲫᲔ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)

ᲠᲐᲪᲘᲠᲐ (ᲕᲐᲟᲔᲑᲘ)

1. ᲐᲕᲗᲝ ᲭᲘᲗᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
2. ᲕᲐᲰᲘᲓ ᲖᲝᲚᲤᲐᲒᲜᲐᲠᲘ (ᲘᲠᲐᲜᲘ)
3. ᲐᲠᲛᲔᲜ ᲒᲐᲡᲐᲞᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ᲡᲝᲩᲘ)
3. ᲛᲐᲯᲘᲓ ᲙᲐᲠᲘᲜᲘ (ᲘᲠᲐᲜᲘ)

ᲮᲛᲐᲚᲘ (ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ)

1. ᲡᲐᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲯᲘᲜᲐ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ)
2. ᲐᲘᲓᲐ ᲐᲚᲐᲫᲐᲠᲝᲕᲐ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ)
3. ᲗᲔᲛᲣᲠᲘᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
3. ᲡᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲘᲐᲒᲝᲕᲐ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ)

ᲮᲛᲐᲚᲘ (ᲕᲐᲟᲔᲑᲘ)

1. ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲛᲝᲠᲐᲫᲔ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
2. ᲡᲝᲤᲔᲚ ᲮᲐᲕᲐᲓᲘ (ᲘᲠᲐᲜᲘ)
3. ᲚᲐᲨᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)
3. ᲛᲔᲭᲓᲘ ᲡᲐᲠᲐᲛᲘ (ᲘᲠᲐᲜᲘ)

ᲗᲔᲛᲘᲚᲘ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ. დაიბადა 19.06.1937, თბილისი. ფარიკაობა, დაშნა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1961, 63), ორგზის მეორე (1959, 66 - გუნდურში) და ორგზის მესამე (1963, 65 - პირადში) პრიზიორი, 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი გუნდურ ასპარეზობაში და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი პირად პირველობაში, სსრკ ჩემპიონი პირად ჩათვლაში (1961), 5-გზის მეორე (1960, 61, 62, 64, 68) და 5-გზის მესამე (1957, 58, 60, 65, 67) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1960). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო 70 წლისთავს უულოცავს ფარიკაობაში რომის ოლიმპიური თამაშების (1960) მესამე პრიზიორს გუნდურ ასპარეზობაში და ტოკიოს ოლიმპიადის (1964) მესამე პრიზიორს პირად პირველობაში სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ.**

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს უულოცავს ვეტერან მოფარიკავეს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გუნდურ პირველობაში, რომის და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს, სსრკ მრავალგზის ჩემპიონს და პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ.**

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

ინტერვიუ ლელა ჯავახიშვილთან

სჭირდება თუ არა ლელას შერჩევა?

ორიოდ კვირის წინათ, ეკატერინბურგში გამართულ გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე - საქართველოს ქალთა ნაკრებმა საშუალო სიძლიერით ითამაშა და ათ გუნდში მეოთხე ადგილზე გავიდა. შედეგი არადამაკმაყოფილებელი კი არის, მაგრამ ქართველთათვის სულ უმნიშვნელოდ არ გასრულებულა ეს ტურნირი - მეორე დაფაზე ლელა ჯავახიშვილმა შესანიშნავად ითამაშა და საუკეთესო იყო გუნდში - 8 პარტიიდან 6 ქულა დააგროვა. ლელას მცირე ვერცხლის მედალიც ერგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაკრებ გუნდში შეუცვლელია მოჭადრაკეა.

ლელა ყოველწლიურად უმატებს და უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ, რომ მაის ჩიბურდანიძის დარად ისიც გათავისუფლდეს ყოველგვარი შესარჩევი ტურნირებიდან და ნაკრებში ადგილი დაებევოს.

გთავაზობთ ინტერვიუს ლელა ჯავახიშვილთან.

- წლევანელი წელიწადი თქვენთვის მშვენივრად დაიწყო: იანვარში თურქულ კლუბში ითამაშეთ შესანიშნავად და 9-დან 8.5 ქულა დააგროვეთ; შემდეგ ტიგრან პეტროსიანის მემორიალზე ვაჟთა შორის გაიმარჯვეთ; ამას მერე საქართველოს ქალთა ჩემპიონატი მოიგეთ; სამიოდ კვირის თავზე დრეზდენში ევროპის ქალთა ჩემპიონატზე 11-დან 7.5 ქულით მეთოთხმეტე ადგილზე გახვედით, რამაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოგაპოვებინათ. **ეკატერინბურგის მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი კი ალბათ გამორჩეული იყო თქვენთვის, - გუნდს ლიდერად მოევლინეთ. თქვენი წარმატების ფორმულას ხომ არ გაგვაცნობთ.**

- უპირველესად, თავდადებული შრომაა საჭირო - სხვაგვარად არაფერი გამოვა. შემდეგ სწორი მიმართულებით მუშაობაა აუცილებელი, რათა ენერგია ფუჭად არ დახარჯო. მე ამ მხრივ ძალიან გამიმართლა და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნანა ალექსანდრიას, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა სწორ საჭადრაკო გზაზე დავეყენებინე. 14 წლის ვიყავი, როცა ქალბატონი ნანა ჩემით დაინტერესდა და ყურადღება მომაპყრო: სწორედ მისი რჩევები დაედო საფუძვლად დღევანდელ ჩემს წარმატებას - შეამჩნევდა თუ არა ამა თუ იმ დებიუტში პრობლემას, უმალ ცდილობდა აღმოეფხვრა. ამისთვის სპეციალისტებსაც კი მახმარდა. სხვათა შორის, თავადაც საკმაოდ განსწავლულია თეორიაში და თავის დროზე სამართლიანად ითვლებოდა თეორიის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ.

- თქვენი ოსტატობა საკმაოდ ამაღლდა. იქამდეც კი, რომ საუბრებია ნაკრებში ადგილი შერჩევის გარეშე დაგიჯავშნონ...

- ასეთი საუბრები ეკატერინბურგამდეც იყო და ჩემთვის ეს ახალი არ არის. საკუთარ თავზე რთულია საუბარი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ობიექტურად დადგა ეს საკითხი - წლების განმავლობაში ნაკრებში წარმატებით ვთამაშობდი, არც ინდივიდუალური შედეგები მქონდა ცუდი.

- ყველაზე გამორჩეული, რაც თქვენ გახასიათებთ საჭადრაკო დაფასთან, სტაბილურობაა; მეტადრე გუნდურ ტურნირში. ადრეც გვისაუბრია და გვითქვამს, რომ გუნდურში უკეთ თამაშობთ. როგორ ფიქრობთ, ახლაც ასეა?

- გეთანხმებით, რომ გუნდურში უკეთესი შედეგები მქონდა. ახლაც ასეა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ინდივიდუალურშიც მოვუმატებ და ტიტულებისთვის ვიბრძოლებ.

- შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ გუნდურშიც და პირადულშიც ბევრად მოუმატეთ, - ამას სპეციალისტები აღნიშნავენ. მართალია, შედეგით კვლავ გუნდური ჯობნის, მაგრამ აღინიშნება ოსტატობის საერთო დონის ამაღლება. დასტურად, წელს საქართველოს ჩემპიონატის მოგებაც კმარა.

- როცა სისტემატურად მუშაობ საკუთარ თავზე, ამას შედეგი აუცილებლად მოაქვს; როგორც ჩანს, გარკვეული ცოდნა დამიგროვდა და წარმატებებმაც არ დაახანა.

- ალბათ ხარვეზებსაც ბევრს ნახულობთ საკუთარ თამაშში...

- რა თქმა უნდა, სრულყოფილებამდე ჯერ შორია. ხშირად არ მომწონს, თუ როგორ ვთამაშობ. ასე იყო წლევანდელ საქართველოს პირველობაზე - მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი გავხდი, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ვიყავი - ბევრად უკეთ შემეძლო გარჯა. სანაცვლოდ, კმაყოფილი დავრჩი დრეზდენში და ეკატერინბურგში გათამაშებული პარტიებით.

- საქართველოს ჩემპიონატზე აბარის ხარჯზე გაიმარჯვეთ?

- ჩავთვალოთ, რომ... ღვთის წყალობა იყო.

- მსოფლიო ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა გკითხოთ. შედეგით ალბათ უკმაყოფილო ხართ. მიზეზებზე რას იტყვით?

- ძალიან რთულია დღეს მსოფლიოში მოწინავე გუნდებს ტოლ-სწორად ეპაექრო. ეს რომ შეძლო, მინიმუმ სახელმწიფოს ყურადღებაა საჭირო. ჩინელებს ისეთი მხარდაჭერა აქვთ, როგორც ქართველებს ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დროს. არც რუსები და უკრაინელები არიან ამ მხრივ დაჩაგრულები. გაოცდებით რომ გითხრათ - ეკატერინბურგში ჩინეთს 12-კაციანი დელეგაცია ახლდა, რომელშიც რამდენიმე მწვრთნელი იყო; ზოგიც ფსიქოლოგი, მასაჟისტი და რა ვიცი, კიდევ ვინ... რუსეთის ნაკრებსაც ოთხი ძირითადი მწვთნელი ეხმარებოდა, ამას გარდა ადგილზე სხვა რუსი მწვრთნელებიც მხარში ედგნენ. ჩვენ კი რა - მხოლოდ ერთი მწვრთნელი, ზურაბ სტურუა გვახლდა. რაც უნდა გენიოსი იყოს მწვრთნელი, ერთი კაცი მთელ გუნდს ვერანაირად ვერ ეყოფა.

ამას გარდა ელემენტარული ყურადღებაცაა საჭირო. ეკატერინბურგში ერთ კაცს არ დაურეკავს გასამხნევებლად და თუმცა გუნდური წარმატება არ გვქონდა, პირადული წარმატების მოსალოცადაც არავის შეუწუხებია თავი. ერთადერთი ისევ და ისევ ნინო გურიელმა დამიფასა შრომა და მაია ჩიბურდანიძის საერთაშორისო ტურნირის გახსნის ცერემონიალზე ოქროს ბეჭედი მისახსოვრა. დიდი მადლობა მას ამისთვის. სხვათა შორის, ქალბატონ ნინოს, როგორც გუნდის კაპიტანს უფრო ეიმედება ჩემი, ვიდრე მე - საკუთარი თავისა. როცა ასეთი მხარდაჭერას გრძნობ, პასუხისმგებლობის გრძნობაც იმატებს და ცდილობ, საკადრისად დაიფასო ყურადღება!

- ერთ დელიკატურ კითხვას დაგისვამთ: როგორც წესი, როცა მოჭადრაკე მაღალ სტატუსს მოიპოვებს, რეიტინგიც შესაბამისი უჩნდება, შემდგომში კი ქვეყნის ჩემპიონატში თამაშისგან თავს იკავებს. მოტივი რამდენიმეა და მთავარი მაინც რეიტინგის შენარჩუნებაა. თქვენ მალე ალბათ მიაღწევთ ამ სიმაღლეს და როგორ მოიქცევით, - აარიდებთ თავს საქართველოს ჩემპიონატში თამაშს?

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატსაც გააჩნია, როგორი ტურნირი იქნება. პრესტიჟულობის მისანიჭებლად აუცილებლად უნდა იყოს მნიშვნელოვანი საპრიზო ფონდი, რომ ღირდეს რისკად. დამერწმუნეთ, 2500-იან ზღვარს რომელმაც არ უნდა მიაღწიოს, 2200-იან და 2300-იან მოჭადრაკესთან არაფრის გამო თამაშს არ გარისკავს - ქულების დაკარგვა იოლია, მოხვეჭა კი - ძალზედ რთული.

- წლის პირველი ნახევარი მშვენივრად განვლეთ. მეორე ნახევარში რა ტურნირები გელით?

- ჯერ ვისვენებ, მაგრამ 20 ივლისისთვის კანადაში მივემგზავრები, სადაც "მონრეოს" მემორიალში უნდა ვითამაშო. ტურნირი საკმაოდ პრესტიჟულია - 8 რჩეული ქალბატონი შეიკრიბება და წრიულად გავითამაშებთ უძლიერესის ტიტულს. "მონრო" ახალი საჭადრაკო პროგრამაა და მათი ხელმძღვანელები საკუთარი შეხედულებისამებრ, წლის განმავლობაში გარკვეულ ტურნირებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით არჩევენ მოჭადრაკეებს. როგორც ჩანს, მე საკმარისი ქულები დავაგროვე და ამიტომ მიმიწვიეს.

კანადის შემდეგ დავბრუნდები საქართველოში და მოვემზადები ევროპის საკლუბო პირველობისთვის, რომელიც სექტემბერში გაიმართება. ოქტომბერში ევროპის გუნდური ჩემპიონატია.

- მზადების როგორი გეგმა გაქვთ? ვისთან ერთად მეცადინეობთ?

- სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის და როგორც თითქმის ყველა ქართველ მოჭადრაკეს, მარტო მიწევს მუშაობა. ქალბატონი ნანა ალექსანდრია კი მეხმარება კონსულტაციებით, მაგრამ უფრო მეტია საჭირო, მეტისთვის კი ფინანსები არ არის. საჭადრაკო მომზადებას ფიზიკურ მომზადებასაც ვვამატებ და ეს ძალიან მშველის - აკვაერობიკაზე დავდივარ. ჭადრაკს იმხელა ენერგია მიაქვს, რომ თუ კარგად არ მოემზადე ფიზიკურად, სატურნირო დაძაბულობას ვერ გაუძლებ. ცხადია, წლის ისევე ნარმატებით დასრულებას ვფიქრობ, როგორც დავიწყე.

ზვიად შათირიშვილი

ლელა ჯავახიშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჩოგბურთი

ჩაჩხუნაშვილი დაემაგა

კიდევ 7 ადგილი დაკარგა მსოფლიო კლასიფიკაციაში წლეულს უქმად მყოფმა **ირაკლი ლაბაძემ,** ქართველი ჩოგბურთელი 180 ქულით მსოფლიოს 223-ე ჩოგანია. **ლადო ჩიხლაძე** 480-ე პოზიციაზეა 58 ქულით, მან ერთ კვირაში სამი საფეხური დათმო. **ნოდარ ითონიშვილი** 2 ბალით 1338-ე (-6) ადგილზეა. ირაკლის უკეთესი პოზიცია უკავია წყვილთა თანრიგში (208-ე), ლადომ კი ერთბაშად 128 ადგილი დათმო წყვილებში და ახლა მხოლოდ 890-ე პოზიციაზეა.

ქალთა შორის საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** ბარსელონის ტურნირის ერთი საკვალიფიკაციო წრის დაძლევის წყალობით ორი საფეხურით წაიწია წინ რეიტინგში, მაკა მსოფლიოს 147-ე ჩოგანია 215 ბალით. ივლისამდე იუქმებს **ანა ტატიშვილი,** რაც უკვე მის რეიტინგსაც დაეტყო - ანამ ერთ კვირაში ხუთი ადგილი დათმო, მას 55 ქულა აქვს და მსოფლიოს 374-ე ჩოგანია. სამწუხაროდ, ქალთა შორის მოწინავე ხუთასეულში მეტი წარმომადგენელი არ გვყავს.

სხვა ქართველები: 554 (-19) **სალომე დევიძე** - 26 ქულა, 631 (-3) **სოფიო შაფათავა** - 20, 643 (-1) **სოფიო მელიქიშვილი** - 19, 746 (-1) **მანანა შაფაქიძე** - 14, 784 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12.5, 795 (+4) **ეკა გორგოძე** - 12, 962 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** - 7. ათასეულს მიღმა: 1079 (+5) **თინათინ ყავლაშვილი** - 5, 1099 (-) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4, 1283 (+5) **მარიამ ქურდაძე** - 3, 1313 (+6) **თეონა ცერცვაძე** - 2,5. როგორც ხედავთ, ამ კვირაშიც მატებაა - 18 წლის სალომე ჩაჩხუნაშვილი კვლავ რეიტინგოსანია, თან 1099-ე ადგილი მისთვის ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია. WTA-ს წლის რბოლაში სულ სამი ქართველია: 160. მაკა ჩახნაშვილი, 206. ანა ტატიშვილი და 297. სოფიო შაფათავა. წყვილთა თანრიგის რეიტინგის ხუთასეულში სულ ორი ქართველია: 191. მაკა ჩახნაშვილი და 452. სალომე დევიძე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გამოცდები აკადემიაში

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას გაისად 70 წელი უსრულდება. ამ ხნის განმავლობაში იმდენი აბიტურიენტი ამ უმაღლეს სასწავლებელს არასდროს ჰყოლია, როგორც წლეულს. ყველაზე დიდი კონკურსი მწვრთნელთა ფაკულტეტზეა. მარტო ფეხბურთის სპეციალობაზე მოსახვედრად ერთ ადგილზე 8 აბიტურიენტი მოდის. დიდია კონკურენცია აგრეთვე კალათბურთის, ჭიდაობის, ძიუდოს, კრივის სპეციალობებზე. გუშინ, აკადემიაში დაიწყო ნორმატივების ჩაბარება ზოგად და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში, რომელიც, წესისამებრ, წინ უსწრებს საერთო ეროვნულ გამოცდებს. აკადემიაში მხოლოდ რჩეულები ჩაირიცხებიან.

ფინალის ექო

შეუფასებელი მარგალიტი

ადმირალის, გენერლისა და პოპ-ვარსკვლავის გუნდი

ის ახალგაზრდა, ვისზეც დღეს საუბარი გვექნება, ყველაზე კარგად წარსულში "ნიუ იორკ ნიქსისა" და კიდევ რამდენიმე გუნდის წევრმა, დღეს კი ამერიკის ერთ-ერთმა საუკეთესო ანალიტიკოსმა **გრეგ ენტონიმ** დაახასიათა.

"გავა დრო და შვილიშვილები ამ ფინალური სერიის გახსენებას რომ მთხოვენ, ვეტყვი - "სან ანტონიო" იყო გუნდი, რომელიც ვერასოდეს შევიდოდა დინასტიათა ელიტურ სიაში, რადგან ეს ორგანიზაცია არაპოპულარული და ყველაზე დაბალრეიტინგული გახლდათ. ამ გუნდმა ლარი ბერდის "სელტიქსზე" ერთი ტიტულით მეტი მოიგო და ეს ნაკლებ დროში გააკეთა, მაგრამ ეპოქალურად მაინც "ბოსტონი" დარჩება და არა "სპურსი"... რომ ამ გუნდს ტიმ დანკანის სახით ყველა დროის უდიდესი მძიმე ფორვარდი ჰყავდა, ვისთვისაც სიტყვა "მე," გუნდური ინტერესებიდან გამომდინარე, არარსებული გახლდათ. ამ ახალგაზრდას მხოლოდ თამაშების მოგება და მოუდანზე თავისი სახის შენარჩუნება სურდა, რაც თავისუფალი აგენტებისა და მილიონერი მწვრთნელების ეპოქაში ახალი "წითელი წიგნის" გახნის ტოლფასი იყო. გავა დრო და ექსპერტები გაიხსენებენ, რომ ამ მოთამაშეს ბორის დიაოზე ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ, მაგრამ ისტორია ყველაფერს ინახავს და ბილ რასელის მერე, ფუნდამენტალურად ყველაზე სწორად დაყენებული თამაშის პატრონი - დანკანი ლეგენდათა პანთეონში შევა. გიგანტებს მხოლოდ "ექსპერტები" ივიწყებენ, ისტორია კი - არა", - განაცხადა "კლივლენდისა" და "სპურსის" მეოთხე, უკანასკნელი მატჩის ჩამთავრების მერე ენტონიმ.

"ჩუმი მკვლელი"... ვითომ, ეს მეტსახელი სარკისებურად ასახავს **ტიმ დანკანის** პიროვნებას? არა გვგონია. დააკვირდით იგივე **ელტონ ბრენდის, კევინ გარნეტის, შაკილ ონილის** ან თუნდაც "სპურსისგან" შერცხვენილი **ლებრონ ჯეიმსის** თვალებს ნებისმიერი, რეგულარულისა თუ საჩემპიონო მატჩისას და მერე ამ თვინიერი ადამიანის თვალებში ჩაიხედეთ. განსხვავება დიდია - ტიმი არ ფიქრობს მეტოქის დამცირებაზე, პირადი სტატისტიკის გაუმჯობესებასა თუ დამაჯერებელი თამაშით სპონსორისგან საბონუსო მილიონების დათრევაზე. მისი სტიქია კალათბურთია და ეს მხოლოდ წმინდა სპორტული ნიუანსების ერთობლიობაში აისახება.

"სპურსი" 1997-დან მუდამ ტიმის გუნდი იყო", - მიაჩნია ლეგენდარულ **დევიდ რობინსონს**, თითქოს "ადმირალს" თავისი ყოფილი გუნდის გრანდად ქცევაში უმნიშვნელო როლი ეთამაშოს.

სერიის უკანასკნელ შეხვედრაში "კავალიერსის" 83:82 დამარცხებით, "სპურსი" გახდა ლიგის ისტორიაში სულ მეოთხე გუნდი, რომელმაც 4 და მეტი ჩემპიონობა ერთ დეკადაში ჩაატია. იდენტური შედეგი ტეხასელებამდე "მინეაპოლის ლეიკერსმა" (1949-54 წლებში ხუთი ჩემპიონობა), 60-იანი წლების სუპერგუნდმა, **რასელისა** და **კოუზის** "სელტიქსმა" (9 ჩემპიონობა და 1957-69 წლებში 11 მოგებული სუპერფინალი), 80-იანი წლების "ლეიკერსმა" (**მეჯიქისა** და **ჯაბარის** გუნდმა ხუთჯერ დადგა ფეხი ოლიმპზე) და **მაიკლ ჯორდანის** "ბულზმა" (6) აჩვენეს.

შეიძლება დინასტია არ იყოს, მაგრამ ეს "სპურსი" დიდი, სამაგალითო გუნდია. სამაგალითო იმათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ კლუბი ლიდერებში მხოლოდ ზღვა ფულის დახარჯვითა და სუპერვარსკვლავების შეძენით შედის.

არა, ვარსკვლავები **გრეგ პოპოვიჩის** გუნდსაც ჰყავს, მაგრამ მათგან მხოლოდ იგივე **დანკანი** და რობინსონი მოვიდნენ ლიგაში ნამდვილი ვარსკვლავების სახელით, სხვებს კი (**მანუ ჯინობილი, ტონი პარკერი, ბრიუს ბოუენი**) ამერიკულ კალათბურთში სახელის დამკვიდრებაში პოპოვიჩი დაეხმარა. მანუ, რომელიც აპენინურ კალათბურთში უპირველესი ვარსკვლავი იყო, "სან ანტონიოში" თავიდან დაიკარგა, მაგრამ მერე და მერე თავი წამოწია, დღეს კი მშიერი ლომივითაა, რომელიც არავისა და არაფერს უწევს ანგარიშს. აგრესია კვადრატში - ასე დაახასიათა მანუ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა სპეციალისტმა , რაშიც მას ასი პროცენტით ვეთანხმები.

ჩარლზ ბარკლიმ "სპურსი" მხოლოდ "კარგ" გუნდად დაახასიათა, მერე კი ახსნა, თუნდაც 2000-02 წლების "ლეიკერსამდე" ეს გუნდი ვერასოდეს მივაო.



ტიმ დანკანი

დანკანსა და მის თანაგუნდელებს ტიტულიც კი არ დაუცვიათ, მაგრამ ეს ვითომ "სპურსის" მიღწევას ნაკლებად მასშტაბურს ხდის? არანაირად.

ტიმის ოთხივეჯერ სხვადასხვა გუნდთან ერთად მოუხდა ჩემპიონობის მოპოვება.

1999-ში მას, რობინსონსა და პოპოვიჩს გვერდით თირკმელგადანერგილი **შონ ელიოტი,** ვინმე **ჯარედ ჯექსონი** (გახსოვთ?), "პატარა გენერალი", დღეს კი "დალასის" მთავარი მწვრთნელი **ეივერი ჯონსონი, მარიო ელი, უილ პერდიუ** და კიდევ რამდენიმე საშუალო დონის მოთამაშე ედგა.

2003-ში ტეხასურმა მანქანამ რიგითებად პარკერი, ჯინობილი, **სპიდი კლექსტონი, კევინ უილისი, მალიკ როუზი** და **სტივ კერი** მიიღო და იმავე სეზონში "ადმირალმა" თავისი ფენომენალური კარიერა დაასრულა.

2005-ში პოპოვიჩმა აიყვანა კაცი, რომელიც არცერთი გუნდის სქემაში არ ჩაჯდა - "დიდი ძაღლი" **გლენ რობინსონი** ჩემპიონი გახდა. გუნდში იყვნენ ნიჭიერი სლოვენიელი ფლეიმეიქერი **ბენო უდრიხი,** ცენტრი **ნაზრ მოჰამედი, ბრენტ ბერი, რობერტ ორი, დევინ ბრაუნი, რაშო ნესტეროვიჩი** და **ტონი შასენბურგი.**

ანუ, ტიმსა და პოპოვიჩს წლიდან წლამდე ახალი კონტინგენტითა და ძვირადღირებული ვარსკვლავების გარეშე უხდებოდათ მზარდი კონკურენციისთვის გაძლება და პარალელურად, ყოველთვის ლიდერთა, ჩემპიონობის მთავარ მაძიებელთა შორის ყოფნა. გუნდი არ დაიშალა, ამბიციები ვერ დაიკმაყოფილა და პოპოვიჩის თქმით, ამის მთავარი მიზეზი, ისევ და ისევ, დანკანია, რომელიც "კავალიერსთან" სერიის დასრულებისთანავე, **ლარი ბერდმა** მაიკლ ჯორდანის ეპოქის დასრულების შემდეგ, პლანეტის უძლიერეს მოთამაშედ დაასახელა.

დანკანის ფსიქოლოგიით "მოწამლულმა" ჯინობილიმ, მოგვიანებით კი ბოუენმა, გუნდთან ხელშეკრულების გახანგრძლივებისას იმაზე გაცილებით ნაკლები თანხა მიიღეს, ვიდრე მათ სხვა გუნდები (მანუს "კლიპერსი" და "სელტიქსი", ბრიუსს კი "ლეიკერსი", "კინგზი" და "ვულვზი") სთავაზობდნენ.

დანკანის ირგვლივ აშენდა გუნდი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში სამჯერ გაჩემპიონდა და რომელსაც დამდეგ რეგულარულშიც **ლარი ო'ბრაიენის** სახელობის თასის თავს ზემოთ აღმართვის საუკეთესო შანსი ექნება.

ტიმსა და გრეგს სპეციალისტები რასელსა და გენიალურ რედ აუერბახს ადარებენ. რას ფიქრობს ამაზე თავად რასელი, ვისაც უფრო მეტი ჩემპიონობა (11) აქვს, ვიდრე ორივე ხელზე თითები?

"ჩემთვის ეს პატივია. დანკანი ლიგისთვის სამაგალითო პიროვნებად, უნაკლო მოთამაშედ და მისაბაძ პროფესიონალად იქცა", - აი, ასეთია დიდი ბილის აზრი.

რეგულარულის ორგზისა და ფინალების სამგზის საუკეთესოდ დასახელებული ტიმი "სპურსის" წინსვლისა და სტაბილურობის მთავარ შემოქმედებად რობინსონსა და პოპოვიჩს მიიჩნევს.

"მე რა? ბევრს არაფერს ვაკეთებ. თითქმის არ ვტენი ბურთს, ზურგს უკან პასებს ვერ ვასრულებ. უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაშიც დიდ ფულს (სეზონში 15.67 მილიონი დოლარი, რედ.) მიხდიან. ყველაფერი 1989-ში ადმირალმა დაიწყო, გუნდი კი გუნდად პოპმა აქცია. ვეცდები, "სპურსს" კიდევ ბევრი მატჩი და ტიტული მოვაგებინო. ამ გუნდმა კაცად მაქცია, ვალში ყოფნა კი არ მიყვარს", - ამბობს დანკანი, რომელმაც ამ ფლეი ოფშიც, ტრადიციულად, იმაზე მეტი ქულა მოიმკო, ვიდრე რეგულარულში.

დანკანი 31 წლისაა. კიდევ ორი, მაქსიმუმ სამი წელიწადია უმაღლეს დონეზე ითამაშებს და მერე...

"მერე წავალ. ფულის გამო არ დავრჩები, ხოლო გუნდის იმიჯის შელახვა არ მინდა.", - ესეც "სპურსის" კაპიტნის სიტყვებია.

იგი ალალია. ესე იგი, კიდევ ცოტა ხანი და ეპოქა დასრულდება...

ზურაბ თალაკვაძე

19 ივნისი. სამშაბათი

NTV-კლუბი (ფუტბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 ევრო 2008. უკრაინის ნაკრები.
14:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:55 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ინტერი-დინამო.
17:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:50 კოპა ამერიკას წინ.
20:50 ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
21:50 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ლოკომოტივი-არსენალი.
23:45 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
08:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
09:00 სპორტკლუბი.
09:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
10:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ინტერნასიონალი.
11:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია.
15:00 სპორტკლუბი.
15:45 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავის უიქენდი. ახალგაზრდა ვარსკვლავების მატჩი.
17:25 სპორტის სამყარო.
17:55 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).
21:30 სპორტინფორმი.
21:45 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
23:30 სპორტინფორმი.
23:45 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავის უიქენდი. ახალგაზრდა ვარსკვლავების მატჩი.
01:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ინტერნასიონალი.
03:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
03:40 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
05:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).

EUROSPORT-1

10:30 მულტისპორტი.
11:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბრაზილია-კანადა. ბრაზილია.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. არგენტინა-პოლონეთი. არგენტინა.
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 სპიდვეი. დანიის გრან-პრი.
22:30 პროფესიული კრივი. საფრანგეთი.
23:00 პროფესიული კრივი. გერმანია.
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
01:30 სპიდვეი. დანიის გრან-პრი.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ჩიკაგო.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰერტოგენბოში. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. II მატჩი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰერტოგენბოში. ბრიტანეთი (LIVE).
19:15 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი.
20:15 ახალი ამბები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. სან მარინო.
22:45 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო.
23:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო.
00:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ჩიკაგო.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

ეროვნული ტელევიზია

კალათბურთი

კლივლენდი პავლოვიჩსა და ვარეჯაოს არ გაუშვებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ფინალური სერიის მონაწილე - "კლივლენდ კავალიერზი" არ აპირებს **საშა პავლოვიჩთან** და **ანდერსონ ვარეჯაოსთან** გამოთხოვებას. ამ კალათბურთელებს 1 ივლისს უმთავრდებათ კონტრაქტები.

გუნდის გენერალურმა მენეჯერმა - **დენი ფერიმ** და მთავარმა მწვრთნელმა - **მაიკ ბრაუნმა** სერბისა და ბრაზილიელთან ახალი კონტრაქტის გაფორმების სურვილი გამოთქვეს.

ფენერბახჩე მწვრთნელს იცვლის

მიუხედავად იმისა, რომ წლეულს, თურქეთის ჩემპიონატის გამარჯვებული სტამბოლის "ფენერბახჩე" გახდა, ამ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ გაეგრძელებინა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელთან - **აიდინ ორსომთან**. ამ ინფორმაციიას eurobasket.com ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ "ფენერბახჩემ" ფინალურ სერიაში მშრალი ანგარიშით დაამარცხა "ეფეს პილსენი", რომელმაც, თავის მხრივ, ასევე გამოიცვალა მწვრთნელი. მომავალი წლიდან ამ კლუბს რუსეთის ნაკრების დამრიგებელი - **დევიდ ბლატი** განვრთნის.

ცურვა

ახალი მსოფლიო რეკორდი

კალიფორნიაში, ცურვის საერთაშორისო ფედერაციიის ეგიდით მორიგი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა და იქ ცურვაში ერთ-ერთი უძველესი რეკორდი დაემხო. კერძოდ, ამერიკელმა **კეიტ ზიგლერმა** 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამერიკელის დრო იყო 15.42,54, რაც 9 წამით უფრო სწრაფია ლეგენდარული **ჯანეტ ევანსის** მიერ 1988 წელს დამყარებულ რეკორდზე (15.52,10).

აღსანიშნავია, რომ ამავე ტურნირზე ზიგლერმა მოიგო თავისუფალი სტილით ცურვაში 200, 400 და 800-მეტრიანი დისტანციები.

ცხელი ხაფი

ფეხბურთი

ნორვეგია

ოდ გრენლანდი-როსენბორგი	1:2

შვედეთი

ელფსბორგი-ბრელებორგი	2:0
გეფლე-აიკ	0:0
პელინგბორგი-გაის	1:1

II დივიზიონი

სილვია-აგვილაბერგი	3:3

ფინეთი

პონკა-ლაპი	0:0

ინგლანდია

ფრამი-ფილჰრი	3:1

ჩოგბურთი

ATP. ნოტინგემი

გროსჟანი-ჰრბატი	6:3, 6:4
პაველი-**სიმონი**	2:6, 6:4, 4:6
გასკე-სპეიდი	6:3, 6:4
ბოგდანოვიჩი-გარსია ლოპესი	**შეწყდა**

ATP. პერუგენბოში

დუპუი-დე ბაკერი	7:5, 7:5
ლუბიჩიჩი-მონფილსი	3:6, 6:3, 6:0
სეპი-პეია	6:4, 6:4
ვესელსი-დევილდერი	6:4, 6:3
სანტორო-**ვლიეგენი**	3:6, 1:6
სლუიტერი-უდომჩოკე	**გადაიდო**
ბენეტო-ჩელა	**შეწყდა**

WTA. ისბურნი

დუშევინა-**ნაკამურა**	4:6, 6:7
კრეიბასი-**ო'ბრაიენი**	6:7, 6:2, 2:6
ლიხოვცევა-გაიდოშოვა	6:4, 6:4
საფაროვა-გრონეფელდი	7:6, 7:6
შრუფი-**ბალტაჩა**	1:6, 1:6
ვაიდიშოვა-სტოსური	3:6, 6:4, 6:4

WTA. პერუგენბოში

პენეტა-კნაპი	3:6, 7:6, 6:2
სრებოტნიკი-**მალეკი**	3:6, 2:6
შონესი-ლიკინა	6:2, 6:1
ა. ბონდარენკო-რასი	6:1, 6:1
ვესნინა-მედინა გარიგესი	7:6, 3:6, 6:3
კრაიჩეკი-დულკო	6:3, 6:2
დანილიდუ-ბრემონი	**შეწყდა**
მირზა-**სკიავონე**	6:3, 4:6, 4:6
საფინა-პინი	**შეწყდა**

 კრივი

რაჰმანი რინგზე დაბრუნდა

ზემძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჰასიმ რაჰმანმა** ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, პროფესიულ რინგზე მორიგი ბრძოლა გამართა. რაჰმანი WBC-ის ვერსიით ამჟამინდელ ჩემპიონთან, **ოლეგ მასკაევთან** დამარცხების შემდეგ, პირველად გავიდა რინგზე და ქულებით მოუგო თანამემამულე - **ტაურუს საიქსს**.

ეს ბრძოლა ნაკლებად პრესტიჟული, ჩრდილოამერიკული კრივის ფედერაციის (NABF) ვერსიით გაიმართა და რაჰმანმა ამ ორგანიზაციის საჩემპიონო სარტყელი მოიპოვა. 10-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ, სამივე მსაჯმა უპირატესობა ჰასიმს მიანიჭა: 95-93, 99-90, 97-91.

"დაახლოებით 30-40 დღის შემდეგ, ისევ გავალ რინგზე. ვფიქრობ. უკვე მზად ვარ დიდი ბრძოლების ჩასატარებლად", - განაცხადა რაჰმანმა როჩესტერში გამართული ბრძოლის შემდეგ.

სამოყვარულო კრივში მსაჯობის წესები იცვლება

სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (AIBA) მსაჯობის ელექტრონული სისტემის რეფორმირება დაიწყო. იმ შემთხვევაში, თუ 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, ეროვნული ფედერაციები ამ ცვლილებებს მოიწონებენ, მაშინ ახალი წესი ძალაში 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შევა.

დღეისთვის, მსაჯობის ელექტრონული სისტემა დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც მოკრივეს ქულა მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ ხუთიდან სამი მსაჯი ერთდროულად დაანგრევა ღილაკს. ახალი წესის მიხედვით კი, ეს სისტემა უფრო გამარტივებული იქნება და ყოველ არბიტრს საკუთარი ანგარიშის დაფიქსირების საშუალება მიეცემა. ბრძოლის შემდეგ კი, ანგარიშში ყველაზე დიდ და ყველაზე პატარა სხვაობას მხედველობაში არ მიიღებენ და გამარჯვებულს სამი მსაჯის შედეგის მიხედვით დაადგენენ.

შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარემ **გერჰარდ ჰაიბერგმა** განაცხადა, რომ მსაჯობის ამგვარი ვარიანტი წარმატებით გამოიყენება ტრამპლინიდან ხტომაში. ამ ჩინოვნიკის სიტყვებით, ამჟამინდელი სისტემა სხვადასხვა დაუშვებელი მანიპულაციების საშუალებას იძლევა და ამიტომაც დაიგეგმა მისი შეცვლა. ჰაიბერგმა ისიც დაამატა, რომ ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ახალი სისტემის ტესტირება.

დე ლა ჰოია მეიველზერს არ შეხვდება

პრომოუტერული კომპანია Golden Boy Promotions-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **რიჩარდ შაფერმა** განაცხადა, რომ ამ კომპანიის პრეზიდენტი - **ოსკარ დე ლა ჰოია** საკრივო კარიერის გაგრძელებას აპირებს, თუმცა მის გეგმებში არ შედის მატჩ-რევანშის გამართვა **ფლოიდ მეიველზერთან**.

"ოსკარმა მითხრა, რომ კვლავ აპირებს რინგზე გასვლას, მაგრამ ჩვენ ჯერ არ გვისაუბრია იმის შესახებ, თუ ვინ იქნება მისი მორიგი მეტოქე. მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი - ოსკარი არ აპირებს მეიველზერთან შეხვედრას. დე ლა ჰოია თვლის, რომ ეს მისი კარიერის განვლილი ეტაპია. თანაც, ბევრს მიაჩნია, რომ ის ბრძოლა თანაბარი იყო და გამარჯვება ოსკარს ეკუთვნოდა", - ამბობს შაფერი.

ჩოგბურთი

გაუდიო უიმბლდონზე არ იქნება

ATP-ტურის კიდევ ერთი წამყვანი ჩოგბურთელი ვერ ითამაშებს უიმბლდონის ტურნირზე. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ლონდონში ჩასვლაზე უარი განაცხადა არგენტინელმა **გასტონ გაუდიომ**.

ეს ჩოგბურთელი 2004 წლის "როლან გაროსის" ჩემპიონია, მაგრამ უიმბლდონზე არ უმართლებდა - იქ არგენტინელი არასოდეს გასულია მეორე წრეზე შორს. ძირითად ბადეში გაუდიოს თანამემამულე **ხუან-პაბლო გუსმანი** შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, უიმბლდონიდან მოიხსნენ - ბელგიელი **ქსავიე მალისი**, ავსტრიელი **იურგენ მელცერი**, ტაილანდელი **პარადორნ შრიჩაფანი** და არგენტინელი **ხოსე აკასუსო**.

ავტოსპორტი

ლე მანი ისევ აუდიმ მოიგო

გასულ უიქ ენდზე, საფრანგეთში "ლე მანის 24-საათიანი რბოლა" გაიმართა.

ზედიზედ მეოთხე წელიწადია, პირველობა არავის დაუთმო გერმანულმა კონცერნმა - "აუდიმ". სააგენტო AP-ის ინფორმაციით, გამარჯვებული გახდა ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ იტალიელი **ემანუელე პირო** და ორი გერმანელი - **ფრანკ ბილი** და **მარკო ვერნერი**.

სავარაუდო ტრანსფერი

კობი მაინც მიდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავმა - **კობი ბრაიანტმა** თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მცველი კარიერის "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გაგრძელებას აღარ აპირებს.

"რაც უფრო მეტს ვფიქრობ მომავალზე, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემი და "ლეიკერსის" გზები გაიყარა. კლუბის ხელმძღვანელობასა და მე სრულიად განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს გუნდი. იმდენად მიყვარს "ლეიკერსი", რომ ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა კლუბში. შემიძლია კალათბურთს ყველაფერი შევწირო, გარდა ერთისა. გამარჯვებულის ფსიქოლოგია მაქვს და მოგებებზე უარს ვერასდროს ვიტყვი. ბოლო სამი წელიწადია თვალს ვადევნებ იმას, თუ როგორ არ იყენებს "ლეიკერსი" თავის მდიდარ შესაძლებლობებს და არ აძლიერებს შემადგენლობას, რათა ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს. ყველაფერი ეს ძალიან სამწუხაროა", - წერს კობი ბრაიანტი.

შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში, კობიმ "ლეიკერსის" ხელმძღვანელობას სხვა გუნდში გაცვლა მოსთხოვა. კლუბის მთავარმა მწვრთნელმა - **ფილ ჯექსონმა** თავის საყვარელ მოსწავლეს სთხოვა, არ გადაედგა ნაჩქარევი ნაბიჯი. მაგრამ, გასულ უიქ ენდზე, ბრაიანტი ესპანეთში "ლეიკერსის" მფლობელ **ჯერი ბასს** შეხვდა და სწორედ მასთან საუბრის შემდეგ გამოაქვეყნა ეს განცხადება თავის ვებგვერდზე.



კობი ბრაიანტი



სებასტიან ფეტელი

ფორმულა 1

ფეტელი ისტორიაში

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი - გერმანელი **სებასტიან ფეტელი** ფორმულა 1-ის ისტორიაში შევიდა. "BMW-ზაუბერის" პილოტმა ამერიკის გრან-პრიზე, თავის სადებიუტო რბოლაში მერვე ადგილი დაიკავა და ყველაზე ახალგაზრდა პილოტი გახდა, ვინც ქულათა ზონაში შეაღწია.

19 წლის ტესტ-პილოტმა ინდიანაპოლისში **რობერტ კუბიცა** შეცვალა, რომელიც კანადის გრან-პრიზე ავტოავარიაში მოყვა და ამ ეტაპის გამოტოვება მიუწია.

ფეტელი 3 ივლისს 20 წლის გახდება. აქამდე, ქულათა ზონაში შესული ყველაზე ახალგაზრდა პილოტი **ჯენსონ ბატონი** გახლდათ. ის 20 წლისა და 2 თვის იყო, როცა "უილიამსის" ბოლიდით ბრაზილიის გრან-პრიზე მეექვსე მივიდა ფინიშზე. ეს 2000 წლის სეზონში მოხდა. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, ქულათა დარიცხვის სისტემა შეიცვალა. 2003 წლიდან მოყოლებული, ქულები არა ექვს, არამედ რვა საუკეთესო პილოტს ერიცხება.

ეროვნული სპორტული გაზეთი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ფათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით მეგელაძორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიჯიკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩიჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი
(დილომი, ახ. ქინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა

ვარსკვლავი

ბერდი ფლეიბოის სახე გახდა

ცნობილი ამერიკული ჟურნალის - Playboy-ის ვერსიით, ივნისის თვის გოგონად სახელგანთქმული ამერიკელი მოცურავე - **ამანდა ბერდი** დასახელდა. მართალია, ჟურნალი გაყიდვაში მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოვა, მაგრამ მოცურავის თაყვანისმცემლებს უკვე შეუძლიათ Playboy-ის ამ ნომრის ყდაზე გამოსახული ბერდის ფოტოთი დატკბობა. საინტერესოა, რომ ეს ამერიკელისთვის "ნიუს" სტილში ფოტოების გადაღების პირველი გამოცდილება არ გახლავთ. თავის დროზე, ბერდმა ჟურნალ FHM-ისთვის რამდენიმე მსგავსი ფოტოსესია მოაწყო.

"ყოველთვის ბევრს ვიცინი იმაზე, როცა მეუბნებიან, რომ თურმე მსოფლიოში ყველაზე სექსუალური ქალი სპორტსმენი ვყოფილვარ. როცა ჩემს თავს სარკეში ვუყურებ, თავშიც კი არ გამიელვებს ის აზრი, რომ მე სექსუალური ვარ. უბრალოდ, მომეწონა, როცა პირველი ფოტოსესიის შემდეგ, ჩემთან ხშირად მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ - უკვე დიდი გოგო ხარო", - აცხადებს ამანდა ბერდი.

რა თქმა უნდა, მრავალგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ზედმეტად მოკრძალებული და თავმდაბალია. მან რომ საკუთარი თავის ფასი არ იცოდეს და თავის სექსუალურ იმიჯზე არ ზრუნავდეს, არ ექნებოდა მრავალმილიონიანი სარეკლამო კონტრაქტები შემდეგ კომპანიებთან - Speedo, Oroweat Bread, Red Bull და Penta Water. ამ ხელშეკრულებების წყალობით, ბერდის კაპიტალი 2010 წლისთვის 100 მილიონი დოლარი გახდება.